# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 2010 წელი.

№196 (6562)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## განვითარდება თუ არა ② პროცესები რევოლუციური სცენარით?

## ხელისუფლებისგან ყბად აღებული ⑤ ჩრდილოეთ კავკასია



## ვინ წამოიყვანს ხელისუფლებას გარკვეულ დათმობაზე? ④

## გვაბოლებენ, კორუფცია ⑤ დამარცხდაო

## თურქეთის ⑧ გაძლიერება საქართველოში ახალ აზროვნებას წარმოქმნის?



## „მწვანე“ ტრაგედია,

ანუ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაღუპვის პირასაა მცენარეთა ხუთასოცდაცამეტი სახეობა ⑥

## ვინ ხედავს ბუას საქართველო – აზერბაიჯანის ③ კონფედერაციაში?



## მართლა ურიგდება თუ არა ქართული ⑧ ოპოზიცია რუსეთს?



## მარად ⑨ თანამედროვე აკაკი წერეთელი,

ანუ ზეიმი ზემო იმერეთში





## რასაკვირველია, ④ ნგრევას შენება სჯობს

**განსჯა**

**რამდენად რეალურია საქართველოს თანხმობის გარეშე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრება, როგორია ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი, რამდენად მართებულად მოიქცა პარლამენტი, როცა 8 პარტიის შემუშავებული ინიციატივის ოფიციალურ რეგისტრაციაზე უარი თქვა და ასევე იმაზე, რამდენად სავარაუდოა ქვეყანაში პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარება, „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავას ესაუბრა.**



**— ბატონო ლადო, აშშ-მა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას მხარი ღიად დაუჭირა.**

**გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში თეთრი სახლი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებით დაინტერესებულია, მაგრამ ამ ორგანიზაციის წესდებით რუსეთის გაწევრებისათვის საქართველოს თანხმობა აუცილებელია. წესდებაში ცვლილებას შეიტანენ? და კიდევ, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ ამ საკითხში ვაშინგტონმა ოფიციალური თბილისი კომპრომისზე წასვლა აიძულა?**

# განვითარდება თუ არა პროცესები რევოლუციური სცენარით?

— წესდებაში რომ არანაირი ცვლილება არ შევა, ეს გასაგებია. ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, წესდებაში ცვლილებები შევა თუ არა, არამედ შემდეგი — თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრების საკითხი ამ ორგანიზაციის საბოლოო სხდომაზე მაინც გაიტანეს, ეს საკითხი შეიძლება კენჭისყრით გადაწყდეს. ასეთია პროცედურა, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად პრინციპულად მოითხოვს საქართველო თავისი პოზიციის დაცვას. სხვადასხვა სცენარია შესაძლებელი, მაგრამ ვთვლი, რომ საქართველოს მთავრობა პოზიციას არ შეცვლის და მე ამას მივესალმები.

**— რამდენად მართებულია მტკიცება, რომ ამ საკითხში ვაშინგტონმა ოფიციალური თბილისი აშშ-ში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ვიზიტის დროს კომპრომისზე წასვლა აიძულა?**

— ამას ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინაიდან ეს უფრო მკითხაობას ჰგავს. მაგრამ ერთი კია, იმავე შინაარსის განცხადებას პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონში უფრო მოკრძალებულ ტონში აკეთებდა. აქცენტები აღარ იყო ისეთი მწვავე, მაგრამ მან რუსეთისგან კვლავ მოითხოვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ერთობლივი საბაჟო კონტროლის დაწესება.

**— მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ ვაშინგტონში თავისი პოზიცია დააფიქსირა, მაინც უცნობი რჩება, რა მოხდება. განვიხილოთ ორივე შემთხვევა. ვითარება, როცა ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებას თბილისმა მხარი დაუჭირა და ვითარება, როცა საქართველომ თავისი პოზიციის დაცვა შეძლო. ორივე შემთხვევაში როგორ პოლიტიკურ შედეგებთან გვექნება საქმე?**

— პირველი შემთხვევა ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ვინაიდან ოპოზიცია ამას გამოიყენებს და ხელისუფლება ავტორიტეტს კიდევ უფრო დაკარგავს. ხოლო თუ არ დათმო, ქართული მხარის პრინციპული პოზიცია უფრო ზომიერი ფორმით იქნება წარმოდგენილი, რაც ამერიკას საშუალებას მისცემს, გააკეთოს ის, რაც მას სურს. ასეთ ვითარებაში საქართველოსაც ექნება საშუალება, შეინარჩუნოს აბსოლუტურად დასაბუთებული პოზიცია.

**— როგორ შეაფასებდით, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტს? წარმოდგენილი პროექტი ოპოზიციის ლიდერთა კრიტიკის საგანი გახდა. მრავალ შენიშვნათაგან ალბათ უმთავრესია მტკიცება, რომ ხელისუფლებამ მოქალაქეებზე პასუხისმგებლობა პრაქტიკულად მოიხსნა. თქვენი აზრით, რამდენად მართებულია 2001 წლის ბიუჯეტის ამგვარი შეფასება?**

— გავეცანი ირაკლი ალასანიას მოსაზრებებს ბიუჯეტთან დაკავშირებით, მისი კრიტიკული შენიშვნები აბსოლუტურად სწორია და სრულად ვეთანხმები, მაგრამ აქ ერთი ასეთი მომენტია — ბიუჯეტის პროექტს ამ ეტაპზე არ შეიძლება შეხედო, როგორც სერიოზულ დოკუმენტს. ეტყობა ის მართლაც ნაჩქარევად არის შედგენილი, რომ ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში შეტანის კონსტიტუციური ვადები არ დარღვეულიყო. თუ არ ვცდები, ამაზე ყურადღება „ქრისტიან-დემოკრატებმაც" გაამახვილეს. ასე რომ, ეს დოკუმენტი ჯერ არ არის ის იურიდიული დოკუმენტი, რომ ბიუჯეტი ეწოდოს და სერიოზულ განხილვას საჭიროებდეს. ასეთი რამ პირველად არ ხდება. ეს ხდებოდა შევარდნაძის დროსაც და შემდგომაც, როცა 30 ოქტომბრისთვის ვერ ესწრებოდა ბიუჯეტის პროექტის სათანადო დონეზე მომზადება. ასეთ ვითარებაში ხდებოდა ბიუჯეტის პროექტის ფორმალურად წარდგენა, რომლის შემდეგაც ის გადამუშავდებოდა, დეპუტატების შენიშვნების გათვალისწინებით. ამიტომ, არა მგონია, ეს ის დოკუმენტი იყოს, რომელსაც თავად მთავრობა სერიოზულად უყურებს.

ვერ გეტყვით, რამდენად უკეთესი იქნება ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასში აუცილებლად შევა ცვლილებები და დამატებები მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებში. სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ სოციალური თემატიკა ბიუჯეტში სათანადოდ არ აისახოს.

**— პარლამენტმა რეგისტრაციაში არ გაატარა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით 8 პარტიის მიერ შემუშავებული ინიციატივები. არადა, ამ პარტიებმა ამ საკითხებში ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი ღიად დააფიქსირეს. თქვენი აზრით, იურიდიული თვალსაზრისით რამდენად სწორად მოიქცა პარლამენტი და ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ოპოზიციასთან თანამშრომლობას არ აპირებს?**

— იურისტი არ გახლავართ და პარლამენტის გადაწყვეტილებას სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ შევაფასებ, მაგრამ პოლიტიკურად პარლამენტმა ძალიან ცუდი ნაბიჯი გადადგა, რადგანაც ხელისუფლებამ ღიად გამოავლინა იმ საკითხების განხილვის მიუღებლობა, რაც 8 ოპოზიციურმა პარტიამ ხელისუფლებას საარჩევნო კანონისა და საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად შესთავაზა. მაგრამ აქ შეიძლება გამოვიყენოთ სხვა მექანიზმები. რადგან ინიციატივის შემმუშავებელი 8 პარტია საკმაოდ ძლიერია, მათ შეიძლება გააქტიურონ მოქმედება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აშშ-სთან, რაც იმის საფუძველი შეიძლება გახდეს, რომ დასავლელმა პარტნიორებმა აიძულონ საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციასთან ერთად მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქვეყნის საარჩევნო კოდექსი და ქვეყანაში საარჩევნო გარემო. ოპოზიციის ინიციატივის რეგისტრაციაში ოფიციალურად გაუტარებლობით პარლამენტმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.

**— ოპოზიციის ლიდერთა ერთმა ნაწილმა ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის შექმნის შესახებ არაერთი განცხადება გააკეთა. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა ქვეყანაში რევოლუციური სცენარით პროცესების განვითარება?**

— რევოლუციური სიტუაცია გარემოებათა გამო იქმნება. დღეს ხელისუფლება ვითარებას სრულად აკონტროლებს. ამის საუკეთესო დასტურია, თუ როგორ იქნა მიღებული კონსტიტუცია. ხელისუფლება ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნასაც არ დაელოდა, არ გაიზიარა ჰილარი კლინტონის რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ემუშავათ ვენეციის კომისიასთან და მხოლოდ მის ფორმატში მიეღოთ ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. ეს ყველაფერი ხელისუფლებამ არ გააკეთა. ამას ოპოზიციის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია. სამწუხაროდ, საზოგადოება ინდიფერენტულად არის განწყობილი თავისივე მომავლის მიმართ, ხოლო ოპოზიციურ ძალებს ჯერჯერობით არ ძალუძთ მოსახლეობის გამოფხიზლება. სხვა მიზეზთა გარდა, მიზეზი იმაშიც არის, რომ თავად მოსახლეობას არ სურს გამოფხიზლება. ამის კარგი მაგალითია ხელისუფლების მიერ ახალი კონსტიტუციის პრაქტიკულად უხმაუროდ მიღება.

**ოპოზიციის ინიციატივის რეგისტრაციაში ოფიციალურად გაუტარებლობით პარლამენტმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.**

**სამწუხაროდ, საზოგადოება ინდიფერენტულად არის განწყობილი თავისივე მომავლის მიმართ, ხოლო ოპოზიციურ ძალებს ჯერჯერობით არ ძალუძთ მოსახლეობის გამოფხიზლება.**

**კობა ბენდელიანი**

**SIC!**

# როცა მთავრობა საკუთარი განკარგულების განხორციელების ვადებს არღვევს!

**საქართველოს მთავრობამ 2009 წლის 28 მაისს მიიღო განკარგულება 403 — იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლის მიზანიცაა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ეს სტრატეგია მოიცავს სამ ეტაპს:**

პირველი ეტაპი ითვალისწინებს კოლექტიური ცენტრების რეალიზაციას, სადაც ეს შესაძლებელია და მათი დევნილი ოჯახებისთვის სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად) საკუთრებაში გადაცემას. ეს ეტაპი უნდა დასრულებულიყო 2009 წლის ბოლოს.

მეორე ეტაპი მოიცავს იმ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც უარს იტყვიან კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში არსებული ფართობების საკუთრებაში მიღებაზე, ასევე იმ დევნილების დახმარებას, რომლებიც ცხოვრობენ ე.წ. კერძო სექტორში. ამ ეტაპის განხორციელება უნდა დაწყებულიყო 2010 წელს.

ამ სახელმწიფო სტრატეგიის სამივე ეტაპის განხორციელების ვადები დარღვეულია. პირველი ეტაპი, რომელიც 2009 წელს უნდა დასრულებულიყო სანახევროდ არ არის შესრულებული, ხოლო მეორე ეტაპი, რომელიც 2010 წლის იანვარში უნდა დაწყებულიყო და ითვალისწინებდა დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას, საერთოდ არ დაწყებულა ზუგდიდში. რაც შეეხება მესამე ეტაპს მის განხორციელებაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც კი ზედმეტია. გავრცელებული ვერსიით საქართველოს მთავრობა აპირებს ახალი განკარგულების მიღებას, რომლის თანახმადაც დევნილთა სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ვადები გადაიწევს 2014-2015 წლამდე. ყოველივე ამის გამო ზუგდიდში განთავსებული დევნილები გამოხატავენ თავიანთ გულისწყრომასა და აღშფოთებას. განსაკუთრებით კი ის დევნილები, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართობი და ამ სტრატეგიის იმედზე იყვნენ. ასევე ისინი მოითხოვენ, რომ მათ საცხოვრებელი ფართობი მიეცეთ ზუგდიდში და არა სხვაგან, რადგან ამ კატეგორიის დევნილებს ფოცხოში, ორულუში და ანალოგიურ ადგილებში ეპატიჟებიან.



მესამე ეტაპი მოიცავს იმ დევნილთათვის დახმარების გაწევას, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას, ანუ მათ გააჩნიათ საკუთრება და გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება. ეს ეტაპი მოიცავს 2010-2011 წლებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

**ინფორმაცია**

# მოსკოვი და ვაშინგტონი დარწმუნებულია, მაგრამ ჩვენ...

**მოსკოვი და ვაშინგტონი იმედოვნებენ, რომ რუსეთის ვმო-ში გაწევრებისთვის საქართველოს პოზიცია ხელისშემშლელი არ იქნება. ეს განცხადება აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა ლორენს სამერსმა გუშინ: მოსკოვში გააკეთა.**

— ჩვენ ვაღიარეთ, რომ აუცილებელია ისეთი კრეატიკული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც დაგვეხმარება, რათა საქართველოში არსებული სიტუაცია რუსეთის ინტეგრაციისათვის ხელისშემშლელი არ იყოს, — განაცხადა სამერსმა რუსეთის პირველ ვიცე-პრემიერთან იგორ შუვალოვთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის ვმო-ში გაწევრების საკითხი შესაძლოა ერთი წლის განმავლობაში გადაწყდეს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი ვმო-ში გაწევრებას 1993 წლიდან ცდილობს.

— საქართველო რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებას მხარს მანამდე არ დაუჭერს, სანამ არ იქნება შესრულებული ის პირობები, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აყენებს, — ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ 5 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე შეკითხვას თუ როგორი იქნება საქართველოს პოზიცია რუსეთის ვმო-ში გაწვრებასთან დაკავშირებით, იმ ფონზე, როცა რუსეთის ვმო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით აშშ-მა და რუსეთმა მოლაპარაკებები დაასრულეს.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების საბოლოო პოზიციაა.

**ХО-ЭОБ-ЭНО**

მეზობელი ქვეყნები

# ვის აშინებს საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაცია?

## უტოპია, პროვოკაცია თუ რეალური პერსპექტივა?!

***კავკასიურ, უფრო კონკრეტულად საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციაზე ამას წინათ მინიშნება მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა, რასაც მალევე მოჰყვა საქართველოს საგარეო უწყების დასტური. გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა აზერბაიჯანულმა მხარემაც, მაგრამ ასეთი განცხადება მხოლოდ ჰაერში გასროლილს ჰგავს, რადგან რაიმე ქმედით ნაბიჯებს საზოგადოება ჯერჯერობით ვერ ხედავს.***

***ამის მიუხედავად, იდეამ ძალიან შეაშფოთა რუსეთი და მეზობელი სომხეთი, რომელიც გეგმის მიხედვით, დღეს თუ არა ხვალ კონფედერაციის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. თბილისსა და ბაქოს შორის ახალმა პოლიტიკურმა პარტნიორობამ აშკარა ვნებათაღელვა გამოიწვია თავად ამ სახელმწიფოებშიც. ეს მით უფრო თვალსაჩინო გახდა საერთაშორისო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ ოფისში მოსკოვ-თბილისსა და ერევანს შორის გამართული ტელეხიდისას.***

რუსი ექსპერტი **გრიგოლ ტროფიმჩუკიც** იმავე კითხვას სვამს, რასაც ზოგადად საზოგადოება: კონფედერაციის მოწყობის მცდელობა, ეს არის უტოპია, პროპაგანდა, პროვოკაცია თუ რეალური პერსპექტივა? „ალბათ, რაღაც პრაგმატული ინტერესებიდან გამოვიდა საქართველოს ხელმძღვანელობა, როცა ეს აზრი გაახმიანა, – აღნიშნა ექსპერტმა, – მაგრამ აქ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ თურქეთის როლი, რომელსაც ასევე აქვს გეგმა სამხრეთ კავკასიის შესახებ. რატომღაც საქართველო აქტიურობს, ხოლო აზერბაიჯანი პირიქით – პასიურობს, არადა ამ უკანასკნელს სავარაუდოდ მეტი სარგებელი უნდა მოუტანოს კონფედერაციამ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს ჯვრისა და ნახევარმთვარის კავშირი. სააკაშვილმა კავკასიის გაერთიანების შესახებ ილაპარაკა გაეროს ტრიბუნიდან, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის შემოერთება როგორ უნდა მოხდეს რუსეთის გარეშე, ესეც საინტერესოა. არც რუსეთი იქნება გულხელდაკრეფილი, როცა მის თვალწინ რაღაც გაერთიანებები იქმნება, ქართველებს კი დიდი სიმამაცე და ეშმაკობა დასჭირდებათ, რომ ამ სიტუაციიდან სარგებლიანი გამოსავალი იპოვნონ“.

ექსპერტი **ანდრეი არეშევიც** მიიჩნევს, რომ კონფედერაციას მომავალი არა აქვს. ის შეიძლება განიხილონ, როგორც ეტაპი სხვა გაერთიანებაში გადასასვლელად, რადგან თავად კონფედერაციამ ვერსად ვერ გაამართლა.

„რია ნოვოსტის“ მოსკოვის ოფისის სტუმარი იყო აზერბაიჯანელი საზოგადოების წარმომადგენელი **სოიუნ სადიკოვი,** მან რუს კოლეგებს დსთ-ს წარსული მოაგონა, რომელმაც ნამდვილად ვერაფერი წარმატება მოუტანა საქართველოს და აზერბაიჯანს. ვერ გადაწყვიტა ვერც ეკონომიკური, მით უმეტეს ვერც პოლიტიკური პრობლემები: „ამას წინათ ბათუმში ვიყავი და იქ მართლაც ყველაფერი კარგია. ვიცნობ ბევრ რუსს, რომელთაც სერიოზული ბიზნესინტერესები აქვთ საქართველოში. ასევე ისწრაფვიან აზერბაიჯანელები საქართველოსკენ, აინტერესებთ ეს ქვეყანა, როგორც ევროპისკენ გასასვლელი. კონფედერაციის შექმნის აუცილებლობა მხოლოდ ეკონომიკურმა ინტერესებმა განაპირობა. თუკი იქნება საზღვრები ისე და მიმოსვლა ისეთი, როგორიც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ხდება, ეს მხოლოდ სარგებელს მოუტანს რუსეთს, ხელს შეუწყობს სომხეთის განვითარებასაც. რატომ ხედავს ამაში რუსეთი საფრთხეს? რუსეთს მანამ არ ექნება სტაბილურობა, ვიდრე საქართველოსა და აზერბაიჯანში არ მიიღწევა სტაბილურობა“, – აღნიშნა აზერბაიჯანელმა ექსპერტმა. ეს იდეა გაიზიარა მოსკოვში მოღვაწე ქართველმა **ლევან სვანიძემაც.** ის ამბობს, რომ კონფედერაცია და ეკონომიკური კავშირი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მხოლოდ სარგებელს თუ მოუტანს ამ ქვეყნებს. ძლიერი ეკონომიკური ერთობა კავკასიაში კი ხელსაყრელი იქნება დასავლეთისთვისაც და აღმოსავლეთისთვისაც. რაც შეეხება რელიგიას, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს ამ ნიშნით დაპირისპირება არასოდეს ჰქონიათ საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრებისას.

სვანიძისგან განსხვავებით გაცილებით რადიკალური და კრიტიკულები აღმოჩნდნენ ქართველი ექსპერტები, რომლებიც „რია-ნოვოსტის“ თბილისის ოფისიდან ჩაერთვნენ დებატებში. **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ „ამ იდეის ჩამოსაყალიბებლად და რეალობაში განსახორციელებლად თავად საქართველო და აზერბაიჯანი არ არიან მზად. რუსეთი კი გაბრაზებული და შეშინებულია იმით, რომ აქ „დასავლეთის ხელს“ ხედავს. რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირებს, ეს ორი ქვეყანა აქამდეც კარგი პარტნიორები იყვნენ. როგორია რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, ეს უფრო გასარკვევია, ვიდრე კონფედერაციის შექმნა. რომ არა კონფლიქტები კავკასიაში, ყარაბაღი, აფხაზეთი, ოსეთი, კავკასიური კავშირი უკვე შემდგარიც იქნებოდა, რადგან ამაზე 90-იან წლებში აქტიურად საუბრობდნენ. სამწუხაროდ, ამ რეალობიდან გამომდინარე, იდეა განუხორციელებელია და ვერც ამიერიდან განხორციელდება, – ვარაუდობს საყვარელიძე.





ექსპერტი **გულბაათ რცხილაძე,** – საქართველო-აზერბაიჯანს შორის კონფედერაციის შექმნაში კიდევ უფრო მეტს საფრთხეებს ხედავს. მისი აზრით, მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელები ადვილად შეძლებენ მცირერიცხოვანი ქართველებისთვის იდენტურობის წართმევას. „აქ მთავარი საკითხია ნაციონალური და რელიგიური იდენტიფიკაცია, მით უმეტეს თუ კონფედერაციას თურქეთიც შეუერთდება. საქართველო ყველასთან გაერთიანდება, ოღონდ კი რუსეთს ჩამოშორდეს. ეს არის პროვოკაციული განცხადება რუსეთის წინააღმდეგ“, – ამბობს რცხილაძე. „ერეკლე II“-ის საზოგადოების წევრი **ვასილ ჭყოიძეც** რელიგიურ საფრთხეებს ხედავს. „ჩვენ აუცილებლად დავკარგავთ ჩვენს თვითმყოფადობას“, – ვარაუდობს ის.

სომეხი ექსპერტებიც ძალიან სკეპტიკურად აღიქვამენ კონფედერაციის იდეას და უპერსპექტივოს უწოდებენ. მათ ზოგადად არაფერი აქვთ საწინააღმდეგო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირისა და პარტნიორობის, მაგრამ კონფედერაცია არ მოსწონთ. კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი სომხეთში **ალექსანდრე ისკანდარიანი** მიიჩნევს, რომ კონფედერაციის შესახებ სააკაშვილის განცხადება აღმოსავლელი ლიდერების ამბიციურ განცხადებებს ჰგავდა. „ჩვენი სამყარო რაღაცა ფორმით სახელმწიფოთა გაერთიანებისკენ მიდის, მაგრამ ყველა სახის გაერთიანება კარგი როდია. სამხრეთ კავკასიის გაერთიანებას მომავალი იქამდე არ აქვს, ვიდრე ამ სახელმწიფოებში კონფლიქტები არსებობენ“. სომეხი ექსპერტი ამბობს: „ქართველებს კარგად ვიცნობ, ხშირად ვიმყოფები იქ. მათ ნამდვილად უნდათ ევროკავშირში შესვლა, მაგრამ მაინცდამაინც აზერბაიჯანთან გაერთიანებაზე რომ ფიქრობდეს, ასეთი არავინ შემხვედრია“.

**მართლაც ეს არ არის ზოგადი საკითხი. ის უფრო მკაფიო ჩამოყალიბებასა და დაკონკრეტებას საჭიროებს. გასაგებია ექსპერტთა სიფრთხილე და გამოწვევების მიმართ შედარებით უარყოფითი ასპექტების მოლოდინი. ყველაფერს ინტელექტუალური საზომი სჭირდება. პრეზიდენტის წამოსროლილ სიტყვებს ხანდახან არც უწერიათ ხოლმე ასრულება. მაგრამ საქმე უფრო სერიოზულად მაშინ არის, როცა ის რუსეთს ეხება. როგორც ვიდეოხიდისას საუბრებიდან გაირკვა, მოსკოვი აღფრთოვანებული ნამდვილად არ არის და ახლა მათემატიკური სიზუსტით ითვლის ყველა იმ ნაბიჯს, რაც საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციულ ერთობას შესაძლოა მოჰყვეს. ვხედავთ, რომ არც სომხები არიან კმაყოფილები. როცა გარშემო რამდენიმე მეზობელი აშკარად გაღიზიანებულია ორთა პარტნიორული „კონფედერაციულობით“, იქნებ ამ იდეის შედარებით პრაგმატულად გააზრება ღირდეს. თანაც მსგავსი საკითხი, მგონი, არც სააკაშვილის გადასაწყვეტია და არც ალიევის, არამედ საკუთარ ბედსა და არჩევანს ხალხი თავად უნდა წყვეტდეს... ეს არ არის დემოკრატია?**

**თეა მოსია**

ბრიფინგი

# ჯანდაცვის პროგრამები განირეს?

**ქრისტიან-დემოკრატები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, არ გადადგას ნაჩქარევი და გაუაზრებელი ნაბიჯი და 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეინარჩუნოს ჯანდაცვის არსებული პროგრამების დაფინანსება. ამ პროგრამების, კერძოდ, ურგენტული, რეფერალური, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის, გულის ქირურგიის, დიაბეტით დაავადებულთა დახმარების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის და სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების არსებობაზე დამოკიდებულია ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.**

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენლის მაგდა ანიკაშვილის თქმით, პარლამენტში შესულია 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ჯანდაცვის ნაწილის გარეშე. ქრისტიან-დემოკრატების მოთხოვნის მიუხედავად, ჯანდაცვისა და ფინანსთა მინისტრები პროექტის განსახილველად პარლამენტში ჯერ არ მისულან.

მთავრობა განმარტავს, რომ ჯერ მზად არ არის ჯანდაცვის ნაწილზე სასაუბროდ. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაგეგმილია ბიუჯეტში ჯანდაცვის პროგრამების გაუქმება და გამოთავისუფლებული თანხის გატანა სადაზღვევო სისტემაში.

ქრისტიან-დემოკრატების აზრით, ეს გადაწყვეტილება ძალიან დიდ საფრთხეებს უკავშირდება. სადაზღვევო სისტემა საქართველოში ჯერ არ არის სათანადო დონეზე განვითარებული. ჯერ არ შემდგარა გამართული ურთიერთობები სადაზღვევო სისტემის სუბიექტებს შორის, როგორიც არიან სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, სამედიცინო დაწესებულებები და მოქალაქეები. კვლავ გრძელდება დავები სხვადასხვა საკითხზე სადაზღვევო კომპანიებსა და საავადმყოფოებს შორის, რაც საერთო ჯამში მოქალაქის ინტერესებს აზიანებს.

**„ასეთ სიტუაციაში მთავრობის მიერ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის მთლიანად გადაცემა სადაზღვევო სისტემისთვის სრულიად გაუმართლებელი და უპასუხისმგებლო გამოვლენა იქნება. ეს გადაწყვეტილება არც სადაზღვევო კომპანიების განვითარებას შეუწყობს ხელს“,** – განაცხადა ანიკაშვილმა.



მისი თქმით, ზემოხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, განმეორდება ნაცნობი სიტუაცია – მთავრობა, პრემიერ-მინისტრი ან ქვეყნის პრეზიდენტი დაიბარებს სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებს და პირდაპირ დაავალებს, რომ დააზღვიონ ამა თუ იმ კატეგორიის მოქალაქენი. **„ეს იქნება კერძო სექტორზე ზეგავლენის მორიგი მაგალითი“,** – აღნიშნა ანიკაშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატებისთვის გაუმართლებელია 5-ლარიანი, ე. წ. დაზღვევის პროექტის მსგავსი მახინჯი პროექტის გამეორება, როდესაც ხელისუფლებამ დავალება მისცა კომპანიებს მოქალაქეების დასაზღვევად. **„თუ კვლავ გაუაზრებლად, ზეწოლის შედეგად განხორციელდება ჯანდაცვის რეფორმა და კიდევ ერთი წნეხის ქვეშ მოექცევა სადაზღვევო სისტემა, იგივე განმეორდება“.**

ანიკაშვილმა ერთ საგულისხმო ფაქტზეც გაამახვილა ყურადღება – თუნდაც დღევანდელი ფორმით ჯანდაცვის პროექტების დარჩენა მათ ახალი დილემის წინაშე აყენებს – ახალი საგადასახადო კოდექსი მათ დამატებითი ღირებულების გადასახადს აკისრებს.

მაგდა ანიკაშვილის განმარტებით, კოდექსის განხილვის დროს, ფინანსთა სამინისტროს მხრიდან ხმამაღლა ითქვა, რომ ჯანდაცვის სფეროს დამატებითი გადასახადები არ შეეხებოდა, ახალი კანონმდებლობით მათ მაინც დაეკისრებათ დამატებითი ღირებულების გადასახადი, რაც რამდენიმე ათეული მილიონი ლარით ზრდის ხარჯებს.

**„მთავრობა არჩევანის წინაშე დგას, ან უნდა დაამატოს საჭირო თანხა – ზუსტად იმდენი, რამდენიც აუცილებელია ამ გადასახადის გადასახდელად, ან შეცვალოს კანონმდებლობა და ჩაწეროს, რომ ჯანდაცვის პროგრამები თავისუფალი არიან ამ გადასახადისგან“.**

ქრისტიან-დემოკრატები იმედოვნებენ, რომ ორი კვირის განმავლობაში მაინც ექნებათ კონკრეტული პასუხი, თუმცა წინასწარი პროგნოზი არცთუ საიმედოაო, – დაასკვნა მან.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ხმა შიგნიდან

*დასავლელი პარტნიორების რჩევის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტი ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას არ დაელოდა და კონსტიტუციის ახალი პროექტი დაამტკიცა. არასამთავრობო ორგანიზაციის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით კი, პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში რეგლამენტის და კანონის დარღვევით ჩუმად შეაპარა ცვლილებათა პაკეტი. ამასთან, ორი დღის წინათ, ოპოზიციის მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით პარლამენტში შეტანილი 130 ათასი ხელმოწერის გაბათილებამ პოლიტიკურ ოპოზიციას კიდევ ერთხელ მისცა საფუძველი სამართლებლივი გზით ბრძოლის უშედეგობაზე ალაპარაკებულიყო და ერთადერთ გამოსავლად ქუჩის აქციები და ბრძოლის რადიკალური ფორმები დაესახელებინა. რამდენად აქვს სამართლებრივი გზით ბრძოლას აზრი და ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ასეთი ნაბიჯების მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა შედეგის მიღწევა? — ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურ მდივანს, ირაკლი ალასანიას გუნდის ერთ-ერთ ლიდერს ირაკლი ჩიქოვანს ესაუბრა.*

# „ჩვენ შევძლებთ, ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წამოვიყვანოთ“

**— ხელისუფლებამ ოპოზიციის მხრიდან ინიცირებული ყველა კანონპროექტის და ინიციატივის იგნორირება მოახდინა ან დაბლოკა და ყველა კანონპროექტი მისთვის სასურველი ფორმით დაამტკიცა. არასამთავრობო სექტორმა პარლამენტის მხრიდან ჩადენილი რამდენიმე კანონდარღვევის ფაქტიც კი გამოავლინა. თქვენი პარტია ასეთ სიტუაციაში გამოსავალს რაში ხედავს, ოპოზიცია როგორ უნდა მოიქცეს?**

— მიმაჩნია, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ჩვენი ბრძოლა უშედეგო არ იქნება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის რომ, 170 ათასი ადამიანის ხელმოწერა შეგროვდა. ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ეს ხელმოწერები არ არის ფარატინა ქაღალდი, რადგან ხალხის ნებას გამოხატავს. მეორე მხრივ, ეს არა მხოლოდ პარტიების საქმეა, არამედ საზოგადოების ჩართულობის თემაც არის.

**— აქ შედეგზეა საუბარი, საზოგადოებამ კი, თავის ხელმოწერებზე შედეგი ვერ მიიღო?**

— შედეგი შეიძლება ვერ მიიღო, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს. ბათილად არც უცვნიათ, უბრალოდ, იმ გზით არ წავიდა საკანონმდებლო ინიციატივა, რა გზაც ჩვენ გვსურდა. თუმცა საკანონმდებლო ინიციატივის ფორმა უკვე მიიღო და უახლოეს მომავალში ბიუროზე განიხილება.

**— მიგაჩნიათ, რომ თქვენმა ბრძოლამ გარკვეული შედეგები გამოიღო?**

— არა, ჩვენი ბრძოლა მიმდინარეობს. ეს არის პროცესი და დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ იმას, რომ ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წამოვიყვანოთ და ბევრი რამე შევაცვლევინოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში ჩატარდეს ნორმალური სამართლიანი არჩევნები. ჩვენ იდენტიფიცირებული გვაქვს კონკრეტული მოთხოვნები, რომელზეც გვსურს ხელისუფლებისგან მივიღოთ ძალიან კონკრეტული წინადადებები და პასუხები. რაც მთავარია, ცვლილებებს ვთავაზობთ არა იმპერატიული საუბრის ფორმით, არამედ იმ ნაკლოვანებების ჩვენებით, რაც ჩვენ დავინახეთ საარჩევნო პროცესში. ეს ისეთი თემაა, რომ მხოლოდ ოპოზიციის ინტერესებში კი არა, ხელისუფლების ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. ნორმალური ლოგიკურად მოაზროვნე ხელისუფლება ამაზე უნდა წამოვიდეს და დარწმუნებული ვართ, ჩვენ ამას შევძლებთ.

**— ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ მათ სამართლებრივი ბრძოლის ყველა გზა მოუჭრა, საკანონმდებლო დონეზეც კი ყველა ინიციატივა დაუბლოკა, რისთვისაც კანონის დარღვევასაც კი არ მოერიდა, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ისევ ქუჩაში გამოვიდნენ და ბრძოლის რადიკლაურ ფორმებს მიმართონ. თქვენ რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ თქვენი კოლეგების არგუმენტაცია?**

— ეს მათი აზრია და მათი არჩევანია. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენთვის უმთავრესი ამოცანაა საარჩევნო გარემოს შეცვლა. სხვა მეთოდი ჩვენთვის მიუღებელია. ამ გზით მივაღწევთ ნორმალური სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, სადაც საქართველოს თითოეული მოქალაქე ძალდაუტანებლად, შიშის გარეშე შეძლებს გააკეთოს საკუთარი არჩევანი. ჩვენ, საზოგადოებასთან ერთად, რვა ოპოზიციური პარტიის უპრეცედენტო თანამშრომლობითა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, უნდა მოვახერხოთ სასურველი კანონმდებლობის მიღება. დასავლეთის დახმარება ამ საკითხში ცოტას არ ნიშნავს. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნაა შემუშავდეს ისეთი პრინციპები, რომელიც შეჯიბრობითობის თანაფარდობას უზრუნველყოფს პოლიტიკურ პარტიებს შორის, რითიც თავისუფალ არჩევნებამდე მივალთ და არა სხვა რაიმე პოლიტიკურ პროცესებამდე.

პრესკონფერენცია

# შესაძლოა, თამაში რეალობად იქცეს

**თბილისის პირველ საჯარო სკოლაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ისტორიის მასწავლებლებისათვის შემეცნებით-გასართობი პროგრამა — „საბავშვო არქეოლოგიის“ პრეზენტაცია გამართა.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაფინანსებით კულტურული მემკვიდრეობის სფეროს პოპულარიზაციისა და კონკრეტულად მცხეთისა და მისი შემოგარენის შესახებ მეტი ინფორმირებულობის მიზნით შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა (ავტორები: ნიკა ვაჩეიშვილი და პეტრე კანკავაძე, რომელიც სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი.

„საბავშვო არქეოლოგია“ ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურის მნიშვნელობასა და მისი დაცვის აუცილებლობას მოზარდებს სასკოლო ასაკიდან აზიარებს. პროგრამა ყოველ შაბათ-კვირას და წლიური კალენდრის სხვა დასვენების დღეებში, ასევე ზაფხულის არდადეგების ჩათვლით განხორციელდება და მეტად მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს.

პროექტი იუნესკოს მიერ დაცულ, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლზე — სამთავროს ველზე, პროფესიონალი არქეოლოგებისა და ისტორიკოსების პატრონატით განხორციელდება. უშუალოდ ადგილზე კი დაინტერესებულთ მცხეთის არქეოლოგიის მუზეუმის თანამშრომელი ანზორ სიხარულიძე უხელმძღვანელებს.

დიდი მცხეთის მიდამოებში განსაკუთრებით მრავლადაა გვიანბრინჯაო — ადრერკინისა და გვიანანტიკური ხანის სამარხები. სწორედ ამ დროის სამარხებში ნაპოვნ ნივთებს (მათ მაკეტებს) „აღმოაჩენენ“ ხელახლა „საბავშვო არქეოლოგიის“ მონაწილეები.

არქეოლოგიურ საქმიანობაში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა იყრის თავს, რომ არაფერი ვთქვათ ისტორიასა და მშობლიურ ლიტერატურაზე, ეს მეცნიერების დარგი წარმოუდგენელია გეოგრაფიის, მათემატიკის, გეომეტრიის, ფიზიკის ან თუნდაც ხატვის გარეშე. ასე რომ, „საბავშვო არქეოლოგიაშიც“, ასევე ერწყმის ერთმანეთს ამ დისციპლინათა ელემენტარული საწყისები. მართალია, მოსწავლეები ადგილზე ვერ ჩაატარებენ ქიმიურ თუ ფიზიკურ ანალიზს, მაგრამ გაიგებენ ასეთი ტიპის კვლევების არსებობის და მისი მნიშვნელობის შესახებ. შეიტყობენ როგორ ეხმარება არქეოლოგს ისტორიის, ლიტერატურის (ძველი წყაროების), გეოგრაფიის ცოდნა სამუშაო ადგილის შერჩევაში, როგორ ხდება ველის დაკვადრატება, როგორ მიმდინარეობს თვით გათხრები და ა. შ.

პროგრამის მიხედვით მოსწავლეები სამთავროს ველის სამაროვანსა და ნამოსახლარს დაათვალიერებენ, „ალიჭურვებიან“ არქეოლოგიური იარაღებით და ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ „გათხრებში“ ჩაებმებიან, იმსჯელებენ უძველესი ნივთების შესახებ, მოახდენენ „მოპოვებულის“ ფიქსაციასა და ინვენტარიზაციას, თავად მიიღებენ მონაწილეობას გათხრილი კერამიკის რესტავრაციაში და ბოლოს მიიღებენ „ნორჩი არქეოლოგის“ სერტიფიკატებსა და სამახსოვრო ტრიპლეტებს.

პრეზენტაციის ორგანიზატორებმა იმედი გამოთქვეს, რომ ეს პროგრამა, თავიდან სახალისო, ბევრს დააინტერესებს და შესაძლოა სამუდამოდ დააკავშირებს ამ იდუმალებით მოცულ სფეროსთან.

**ლევან ორახელაშვილი**

რაც კარგია, ცუდი არ არის

# ნგრევა არ ვარგა, თორემ შენებას რა სჯობს!..

*დამუშავდა საქართველოს კანონის პროექტი ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ, რომლის მიზანი, თანახმად ჩანაწერისა, არის საქართველოში ტურიზმის განვითარებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა. აქვე არის აღნიშნული, რომ ეს კანონი ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისთვის განსაზღვრულ პირობებს, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს. სასტუმროების მშენებლობასა და ფუნქციონირებას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელებს ინვესტორი, რომელიც გათავისუფლდება როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების და მოგების გადასახადიდან 15 წლის ვადით, ისე სამშენებლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან.*

ამას წინათ აღნიშნული პროექტი განიხილა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან სპეციალურად ორგანიზებულმა საექსპერტო კომისიამ. კომისიის შემადგენლობაში არიან ობიექტის პროექტებისა და მშენებლობასთან დაკავშირებული რიგი ქვესაკითხების მცოდნე მაღალი კვალიფიკაციის პირები.

მაღალ არქიტექტურულ დონეზე ცალკეულ კორპუსთა პროექტები და დამხმარე შენობა-ნაგებობები განლაგებულია კომპლექსის დანიშნულების შესაბამისი ტექნოლოგიითა და ფუნქციით. ისინი ფიჭვნარის არსებულ კორომთან, მწვანე საფართან და, საერთოდ, ლანდშაფტთან ერთად, ზღვის ფონზე ქმნიან დასვენებისა და ტურიზმისთვის სასიამოვნო გარემოს.

შენობა-ნაგებობები, თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნათა თანახმად, მონოლითურ რკინაბეტონსა და მინაშია გადაწყვეტილი და ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ის კარგი, რაც პროექტს გააჩნია, შენარჩუნებული იქნება რეალიზაციის შემდეგაც (იგულისხმება კედლების სასურველი ფაქტურის მიღებისთვის დაბეტონებისას მაღალი ხარისხის ყალიბების გამოყენება, ასევე მაღალი ხარისხის ვიტრაჟების მონტაჟი და ბეტონის კედლებთან მათი შეპირაპირების ხაზების დამაკმაყოფილებელი იერსახისა და წყალუჟონადობის უზრუნველყოფა). თავის მხრივ, ეს მოთხოვნები დაცული უნდა იყოს სათანადო გამოცდილების მქონე სამშენებლო ორგანიზაციის დასაქმებით, რაც მხოლოდ და მხოლოდ კეთილსინდისიერად და ობიექტურად ჩატარებულმა ტენდერმა უნდა გამოავლინოს.



ყველაფერი ამის თავი და თავი კი ინვესტორია, რომლის მოღვაწეობისთვის კანონის პროექტით შეპირებული შეღავათები და თვით ყოველმხრივ საინტერესო პროექტი, სასურველ სიტუაციას უქმნის მას და ინტერესსაც უმაღლებს. არის იმედი, რომ საქმეს სათავეში სწორედ ისეთი ინვესტორი ჩაუდგება, რომელიც საქმისადმი გონივრული მიდგომითა და სათანადო პროფესიონალიზმით თვითონაც სარგებლობას ნახავს და საქართველოს ამ ლამაზ ზღვისპირა კურორტს შემატებს ლაზათს.

საექსპერტო კომისიამ პროექტს მაღალი შეფასება მისცა. ასე რომ, წელიწადზე ოდნავ მეტი დრო გვაშორებს ქობულეთის ტურისტული კომპლექსის ექსპლუატაციაში საზეიმო გადაცემას, და ტურისტთა პირველი ნაკადის აქ დაბინავებას, რაც წინ გადადგმული ღონიერი ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნის ტურიზმის პოტენციალის ზრდის გზაზე.

**დიმიტრი კოტეტიშვილი,**
**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო**

ინფორმაცია

## რომელ ადგილს ვიკავებთ თავისუფალი პრესის მიხედვით?

**გამოცემამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ — 178 ქვეყნის რეიტინგი გამოაქვეყნა თავისუფალი პრესის მიხედვით.**

**საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით 178 ქვეყანას შორის მე-100, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზე იმყოფება.**

**პოსტსაბჭოთა სივრციდან, პრესის თავისუფლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბალტიისპირეთის ქვეყნებს აქვთ. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე ესტონეთია, რომელიც მთლიან მაჩვენებელში მე-9 ადგილზე იმყოფება. შემდეგ მოდიან ლიტვა და ესტონეთი,**

**საქართველო პოსტსაბჭოთა სივცრეში მეხუთე ადგილზეა. ერთი პოზიციით უკან დგას სომხეთი, რუსეთს კი 15 ქვეყანას შორის მხოლოდ მერვე ადგილი უკავია. მასზე ერთი პოზიციით წინაა უკრაინა, რომელმაც 2009 წლის შემდეგ ეს მონაცემი საგრძნობლად გაიუარესა. რუსეთის შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი, ბელარუსი და სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნები.**

**საქართველო 2009 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში შორის მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა. ამ ქვეყნებში ერთი ადგილით, ხოლო მთლიანობაში 19 ადგილით უკან დაიხია პრესის თავისუფლების ინდექსმა საქართველოში.**

ხი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# ყბად აღებული კავკასიური სახლი

**საქართველოს პრეზიდენტის ფანტაზია ფანტაზიად აღიქმებოდა, მას რომ პროვოკაციის სუნი არ ასდიოდეს. მხედველობაში მაქვს ახალი ინიციატივა ჩრდილოეთ კავკასიელთათვის საქართველოში უვიზო მიმოსვლის თაობაზე. ის, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისათვის ნათესავების მონახულების პრობლემა არსებობს, ცნობილი ფაქტია, მაგრამ ცენტრთან, ანუ მოსკოვთან შეუთანხმებლად, ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება სხვაზე მეტყველებს და არა ჩრდილო კავკასიელთა პრობლემის მოგვარების სურვილზე.**

ქვეყნის ხელისუფლებას, რომელსაც საკუთარი ხალხის პრობლემების გადაჭრა ნაკლებად აღელვებს, არც სხვის მიმართ აუტყდებოდა გულის ფანცქალი. სავიზო რეჟიმის არსებობა-არარსებობა ქვეყნებს შორის საკონსულო ხელშეკრულებით წყდება და არა ქვეყანასა და მეორე ქვეყნის ავტონომიას შორის შეთანხმებით, თუმცა არც ამას ჰქონია ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი გადაწყვეტილება ქვეყნის საშინაო საქმეში უხეშ ჩარევად აღიქმება, რასაც ამბობს კიდეც რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური განცხადება. რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, სააკაშვილის განცხადება გამოწვევას უფრო ჰგავს, ვიდრე ჩრდილოელთა მიმართ კეთილი ნების გამოვლინებას. თუმცა დასავლეთს ყურადღებაც არ მიუქცევია ავანტიურისტული გამოხდომისათვის, მაშინ, როდესაც თვით მისმა მედიამ პროვოკაციად მოიხსენია ირანის პრეზიდენტის აჰმადინეჟადის ლიბანში ვიზიტი. რატომ ითვლება აჰმადინეჟადის ვიზიტი ავანტიურად, ხოლო სააკაშვილის გადაწყვეტილება სამშვიდობოდ? იქნებ სხვაშია საქმე და ამ „სხვაში“ არა მარტო საქართველოს ხელისუფლებაა ჩართული? საკითხი სერიოზულია და შეძლებისდაგვარად შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება.

**გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილის გამოსვლა თუ რამით იყო აღსანიშნავი, უპირველესად თავის ქებით, დამსწრე საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრით. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც დამშეული ქვეყნის პრეზიდენტი გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ილაპარაკებს საკუთარ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკურ წარმატებებზე. საკუთარი ქების გარდა პრეზიდენტის გამოსვლაში იყო ისეთი მომენტიც, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება. ეს ე. წ. ინტეგრაციაა. სააკაშვილი ხან კავკასიის კონფედერაციას გვთავაზობს, ხან ერთიან კავკასიურ სახლს. რომ იტყვიან „ხოხვისათვის დაბადებული ვერ იფრენსაო“, სწორედ საქართველოს ხელისუფლებაზეა მორგებული. ღვთის წყალობით საქართველო თითქმის 20 წელია დამოუკიდებლად არსებობს და ნაცვლად იმისა, რომ განვითარდეს ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ნატრი დამოუკიდებლობა, ისევ რაღაც კავშირში შეტენვას უპირებენ. დამოუკიდებლად ცხოვრების 20 წლისთავზე ქართველ ვაიპოლიტიკოსთა თავში მწიფდება სხვასთან ცხოვრების იდეა, რაც საკუთარი უსუსურობის გამოვლინება უფროა, ვიდრე ეკონომიკური მოსაზრებით გამოწვეული პრაგმატიზმი. პოლიტიკოსი „გადაქანებულად“ შეიძლება ჩაითვალოს უფრო ძლიერი კავშირიდან გამოსვლის (დსთ) და ახალ გაურკვეველ, თანაც სეპარატიზმის ბაცილით დაავადებულ კავშირში შესვლისათვის.**

ერთიანი კავკასიის იდეა არახალია. ყოფილ პრეზიდენტებს გამსახურდიასა და შევარდნაძეს აწუხებდათ აბსტრაქტული კავკასიური ერთობა. შევარდნაძემ დავალებებიც კი მისცა ხელქვეითებს იდეის პრაქტიკულად განსახორციელებლად, მაგრამ ეს იყო და ეს. ორივე მათგანის გონებაში სხვა რამ ტრიალებდა – ერთიანი კავკასიური სახლი, რუსეთის საპირწონედ. ანალოგიური ოცნებითაა შეპყრობილი მესამეც. უფრო მეტიც, კავკასიურ სახლს ის რუსის საწინააღმდეგოდ მოიაზრებს. თუ მისი წინამორბედების იდეა საქართველოს არ გაცილებია, ამან მსოფლიო სამსჯავროზე გამოიტანა, ცხადია საკუთარ ხალხთან, მომავალ მოკავშირეებთან შეუთანხმებლად. **ქვეყნის რაღაც კავშირში ვოლუნტარისტულად შეტენვა გმირთა მოედანზე პლასტმასის ფალოსის აყუდება არაა, ის გაცილებით სერიოზული საკითხია, თუმცა, როდესაც ქვეყნის კონსტიტუციას ისე დაძალებით იღებენ, რასაც ადგილი ჰქონდა, რა გასაკვირია ქვეყნის კავკასიურ სახლში შეყვანა?**

სააკაშვილისეული კავკასიური სახლის მომავალ ბინადართ, ვეჭვობ, კომფორტულად მოეჩვენოთ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ყველა მათგანს საკუთარი ჭერი აქვს, რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, ის დიდ ოჯახში ცხოვრობს და თუ დამოუკიდებლობის რაღაც სურვილი გააჩნია, თავს ახალ კავშირში არ შეჰყოფს. ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება პირიქით, ერთმანეთისგან დაშორიშორების და არა ერთ ჭერქვეშ ცხოვრების მომასწავებელია.

თვალი შევავლოთ ჩრდილო კავკასიელთა საქართველოსთან ისტორიულ ურთიერთობას. **საქართველოს რუსეთთან ჩახუტების სტიმული არა მარტო ირან-ოსმალეთი იყო, არამედ ჩრდილო კავკასიელთა შემოსევებიც. ცხადია, სავარაუდო კავშირში მსგავსს ადგილი აღარ ექნება, თუმცა სხვა კონტექსტში არაფერია გამორიცხული. ამასაც რომ ადგილი არ ჰქონდეს – იოლად მოხდება მათ ადათ-წესებთან, რელიგიურ მრწამსთან, ყოფა-ცხოვრების ელემენტებთან ჩვენი ცხოვრების წესის ჰარმონიზაცია? აღარა ვართ ქართველები, ევროპელები? რა ვუყოთ ზ. ჟვანიას განცხადებას – „მე ქართველი ვარ, მაშასადამე ევროპელი ვარ“. გარეგნული იერსახე, ხალხურ ცეკვაში საერთო ილეთები სულაც არ ნიშნავს ნათესაობას. ის, რაც გვაახლოებს, გაცილებით მცირეა იმასთან, რაც გვაშორებს, იმიერ და ამიერკავკასიას შორის ღრმა მსოფლმხედველობითი სხვაობაა, რომელთა დაძლევა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე შეუძლებელია.**

თუ რა მდგომარეობაა ამიერკავკასიაში, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. არსებული პრობლემები ლამის მსოფლიო ლიდერთა ყველა



სამიტის განხილვის საგანია, მაგრამ მიუხედავად მათი ძალისხმევისა, პრობლემები არ გვარდება. ასეთ ვითარებაში ძნელად წარმოსადგენია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შეხმატკბილებული ცხოვრება. აზერბაიჯან-სომხეთი ლამის ახალი ძალით დაეტაკონ ერთმანეთს და ასეთ დროს – **კავკასიის ერთიანი სახლის იდეის გაჟღერება ექსპერტული ჩაღრმავების ნაცვლად ფსიქიატრიულს მოითხოვს. თუმცა – ერთის შეხედვით. სააკაშვილის „მშვიდობის მტრედობის“ უკან შორსმიმავალი ამერიკული პროექტი იმალება. მიზანი – კავკასიიდან რუსეთის განდევნაა. რამდენად შესაძლებელია იდეის განხორციელება? ჩემი აზრით, ძნელად.** ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ რუსეთის ხელისუფლება აჰყვება რუსი ლიბერალების მოსაზრებას და ნებაყოფლობით დატოვებს რეგიონს. შეძლებს ამას რუსეთის ხელისუფლება? ცხადია, ვერ შეძლებს, ვინაიდან მას ამას არ აპატიებს საკუთარი ხალხი. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას – იქ რუსეთი არა მოთამაშე, არამედ მეპატრონეა. **პეტრე პირველიდან დაწყებული რუსეთმა მილიონობით რუსის სისხლი დაღვარა რეგიონში შემოსასვლელად. იცის ეს აშშ-მა? ცხადია იცის, მაგრამ „დედოფალი პწკენაპწკენაში დაორსულდას“ პოლიტიკას მისდევს. დღეს თუ არა ხვალ, ფიქრობს ის და თბილისში ქმნის ანტირუსულ რადიოს ჩრდილო კავკასიელთა „გამოსაღვიძებლად“, ანუ როგორც ოფიციალური მოსკოვი აცხადებს – ძირგამომთხრელი მუშაობის განსახორციელებლად. აშშ-ს ამ საქმეში ფასდაუდებელ სამსახურს უწევს სააკაშვილი.**

ყველა სახლს ჰყავს „უფროსი“, მათ შორის უნიკალურ ევროკავშირსაც. მიუხედავად დეკლარირებული თანაფარდობისა, იქაც კი უფროს-უმცროსობას ანგარიშს უწევენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია, ვინაიდან ეკონომიკური ლოკომოტივობა თავისთავად პოლიტიკური გადაწყვეტილების სტიმულატორია. ევროკავშირში გერმანია ლოკომოტივის როლს ასრულებს. **საინტერესოა, ვის მოიაზრებს ინფანტი მიშიკო კავკასიური სახლის ბოსად? საქართველოს ხომ, გარდა ამბიციებისა, აღარაფერი აბადია?! ის, რომ: „საქართველოსა და ქართველ ერს დიდი მისია აკისრია და ქართველმა ერმა ზნედაცემული მსოფლიო ხელახლა უნდა გააკეთილშობილოს, რომ ეს მოსაზრება ჰეგელს ეკუთვნის“ (ე. ჯაველიძე) სრულიადაც არ იძლევა ახალ სახლში პირველობას. ლიდერობა მხოლოდ ეკონომიკური აღმავლობით და პოლიტიკური სტაბილურობით, დემოკრატიული სისტემით არის განპირობებული და არა „წილხვედრი ქვეყნობის“ თვითრეკლამით. პატივცემულ პრეზიდენტს აღარ ახსოვს, რომ საქართველომ ობიექტური მიზეზების გამო პირველობა კარგა ხანია აზერბაიჯანს დაუთმო – ამერიკა-რუსეთთან დაბალანსებული ურთიერთობით და მზარდი ეკონომიკით გამორჩეულს.**

კავკასიური სახლი არა მარტო ურუსეთოდ არის წარმოუდგენელი, არამედ უთურქეთოდ და უირანოდ, მათ ისტორია აკავშირებთ რეგიონთან. თურქეთის სურვილი ცნობილია – ენერგეტიკული ამბიციები, კავკასიის შიდა პროცესებით დაინტერესება. გასული საუკუნის ბოლოს მისი პასიურობა აქტიურობით იცვლება. გააქტიურდა ირან-საქართველოს თანამშრომლობაც, რასაც უდავოდ შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება. ხშირი ურთიერთვიზიტები აქტიური კავშირების სერიოზული წინაპირობაა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ სტერეოტიპის რღვევას, რაც არსებობს ქართულ საზოგადოებაში ამ უდიდესი ქვეყნის მიმართ. ჯერაც არსებობს ირანის მიმართ შიში, რაც აშშ-ს პროპაგანდის შედეგია. ზოგი ქართველი ექსპერტი ირანს ამერიკა-ევროპის გზაზე სერიოზულ ბარიერად აღიქვამს. ამას წინათ კონფლიქტოლოგი გ. ხუციშვილი წერდა: „სარისკო ნაბიჯი იყო, როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ჩახუტებას ვაპირებთ ირანთან, რამაც საშინელი პანიკა გამოიწვია ევროპაში. ეს ზუსტად ვიცი, ევროპელი დიპლომატები პირდაპირ გვეკითხებოდნენ – რას აპირებთ ნარკოტრეფიკი თქვენი გავლით გავიდეს? ამის საშიშროება რეალურად არსებობს, უვიზო რეჟიმსაც თუ გავითვალისწინებთ“. ქართული პრესის მიხედვით, თუ ვინმეა ჩართული ნარკოტრეფიკში ეს აშშ და საქართველოს ხელისუფლებაა. **რაც შეეხება ირანს, ამ ქვეყანაში ნარკოტრეფიკი მინიმუმამდეა დაყვანილი, ნარკოტიკების გამსაღებელ-მომხმარებელი უსასტიკესად ისჯება. მაგრამ აქ საქმე სხვაშია – ირანისათვის, ისე, როგორც რუსეთისათვის კავკასიის სახლის კარის ჩაკეტვა. თუ რამდენად შესაძლებელია ეს, სხვა საკითხია.**

კავკასიური სახლი უდავოდ მოითხოვს მთავარი მარეგულირებლის ხელს. ასეთად კი თავი აშშ-ს წარმოუდგენია. **თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პატ. მიხეილის გაეროს სიტყვა მისი ამერიკელი მრჩევლების ნახელავია, უმალ მივალთ კავკასიური სახლის იდეის ავტორთან. ამ ავტორმა რამდენიმე წლის წინათ დსთ-ს და რუსეთის საწინააღმდეგოდ სუამი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) გამოიგონა, მსუყედაც დააფინანსა, თუმცა უშედეგოდ. იუშჩენკოს დამარცხებამ დააკნინა უკრაინის აგრესიულობა რუსეთის მიმართ. თვით კავშირი სულს ღაფავს და საცაა წაიქცევა, სწორედ ამიტომ რუსეთისთვის ახალი თავსატკივარის გამოგონება გახდა საჭირო და სააკაშვილმაც არ დააყოვნა, სხვისი იდეა თავისად მოგვასაღა. სხვა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული რაღაც სახლი ჩანასახშივე სახიფათო იდეაა, რასაც უდავოდ მოჰყვება საქართველოსთვის არასასიამოვნო რეაქცია, თუმცა ეს ნაკლებად აღელვებს პრეზიდენტს, მისი მიზანი ხომ ამერიკელთათვის გულის მოგებაა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

გვაბოლებენ

## საშაყიროდ მოუცლიათ: დამარცხდაო კორუფცია

**დღე არ გავა, რომ ტელეეკრანიდან ქრთამის აღების ფაქტზე ამა თუ იმ მოხელის (ბლომად ფულის მომხევის) დაკავების ფაქტი არ „გააჟღერონ“; იმ მომხევთა შორის დიდჩინოსნებიც იჩითებიან, მსხვილი დეპარტამენტისა თუ მინისტრის მოადგილის ჩათვლით. ქვეყნის მთავარი პოლიციელი გვეყოლოს კარგად და კორუფციონერთა დაჭერის მცოცავი გრაფიკი მალე მინისტრსაც უწევს და ვიცე-სპიკერსაც (ერთ ყოფილ ვიცეს აკი უწია...).**

საგულისყურო ისიცაა, თუ როგორი ახალ-ახალი „ფორმატით“ ხდება ლარ-დოლარ-ევროს გამოძალვა ან დაცინცვლა, როგორ იხვეწება სათანადო ხერხები – საბჭოური ხანის მექრთამეებს რომ არც დაესიზმრებოდათ! მაგალითად, საკონტროლო შესყიდვას სად და ვისგან აპირებენ კონტროლის პალატის თანამშრომლები – შესაბამისი გაფრთხილება გასაკონტროლებლებს ოთუსბირი უჯდებათ; ან კიდევ, სავარაუდოდ, ჩვენი მოუსვენარი პრეზიდენტი ამა და ამ საათსა და წუთზე ამა და ამ ადგილას კორტეჟით გაივლის და მანდაურობა მოაწესრიგეთ, მანამდე კი მოწოდებულ ინფორმაციაში ამდენი და ამდენი გადაიხადეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალიო.

აი, ასეთ ფონზე დაუღალავად გვაბოლებენ. ცალკე ხელისუფალნი და, პირველ რიგში, პირველი პირი – კორუფციას ბოლო მოვუღეთო, ცალკერძ „საერთაშორისო თანამეგობრობის“ არამკითხე და არაგულწრფელი წარმომადგენლები, რომლებიც აქებენ და ადიდებენ კორუფციის „დამმარცხებელთ“ და მექრთამეობის „მძლევი“ საქართველო ხან მსოფლიოს ამნიშნიან ხუთეულში შეჰყავთ, ხან ათეულში...

...მოვუწონებთ, ეამება, გაბრიყვდება ამ ქებითო, და ჩვენ კი რა გვენაღვლება, ვახშმადაც აქ დავრჩებითო“ – მალაყებსა და ხტუნვაზე გადასული დათუნია და ტაშისდამკვრელი მელაკუდა თქვენც გაიხსენეთ და მეც გავიხსენებ...

ლუკა გორგაძე

ინფორმაცია

## პროფსასწავლებლების რეორგანიზაცია 2011 წლის ბოლომდე დასრულდება

**ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფსასწავლებლების რეორგანიზაცია 2011 წლის ბოლომდე დასრულდება. როგორც გუშინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, განათლების მინისტრთან ერთად შემუშავებულია პროექტი, რომლის მიხედვითაც პროფსასწავლებლებს სახელი შეეცვლებათ და დაერქმევათ „პროფესიული სწავლების კოლეჯები“.**

**– ქვეყნის მასშტაბით 25 პროფესიული სწავლების კოლეჯი გვაქვს, საიდანაც 2/3 უკვე რეაბილიტირებულია, ხოლო დარჩენილი 1/3-ის რეაბილიტაცია მომავალი წლის ბოლომდე დასრულდება. რეალურად ეს არის ადგილები, სადაც შეიძლება კონკრეტული პროფესიის დაუფლება, რათა შემდგომ ადამიანებს სამუშაოს პოვნა გაუადვილდეთ. სასწავლებლებს მჭიდრო კავშირი ექნებათ კერძო სექტორთან, – განაცხადა გილაურმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

SIC!

# ხელისუფლების უპასუხისმგებლობა-დაუდევრობით შექმნილი ორხელისუფლებიანობა და ყოველივე ამის შედეგად გაფუჭებული საქმე

## ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაღუპვის პირასაა მცენარეთა 533 სახეობა

***ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესიის დანგრევის სკანდალი ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი, ბათუმში ხმა რომ გავარდა, ბოტანიკური ბაღი იყიდებაო. მაშინ ხელისუფლებაში ვისაც არ ვკითხე, ყველამ შეიცხადა, არ ვიცი, მსგავსი რამ ოფიციალურად არ გაგვიგიაო. არადა, ქალაქში ხმები გავრცელდა, ბაღის ნაწილი გაიყიდება, იქ კაფე-რესტორნები და გასართობი ობიექტები აშენდება, შემოსული ფულით კი ბაღის დანარჩენი ნაწილი შეინახება და თანამშრომლების ანაზღაურება გაიზრდებაო. ახლა ამაზე საუბარს ბაღის ის თანამშრომლებიც კი გაურბიან, ამის უშუალო მონაწილენი რომ იყვნენ. ეშინიათ, რაც აქვთ, ისიც არ დავკარგოთო. ამიტომ ვწერ, ასეთი ხმები ვრცელდება-მეთქი.***

ეს ის პერიოდია, როცა აშკარად გამოიკვეთა ბაღის კოლექტივში დაპირისპირება, ეკონომიკური მდგომარეობა კი თანდათან უარესდებოდა. ბაღის მაშინდელმა დირექტორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მცენარეთა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ვანო პაპუნიძემ დახმარებისათვის თავის ყოფილ სტუდენტს ადიკო ივანიშვილს მიმართა, ამ უკანასკნელმა კი ძმას, ცნობილ ქართველ ბიზნესმენსა და მეცენატს ბიძინა ივანიშვილს აცნობა ბაღის გაჭირვება. საქმე პრეზიდენტის ყურამდეც მივიდა. ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ ბოტანიკური ბაღის სარეაბილიტაციოდ და სახელფასო ფონდის შესავსებად ორი მილიონი ლარი გაიღო. ბაღის ხელმძღვანელობის შეცვლის მიზნით კი ხელისუფლებამ აქ 2007 წელს არჩევნები დანიშნა.

არჩევნების წინ და არჩევნების დროსაც დიდი ვნებათაღელვა იყო. დაპირისპირებული ჯგუფები გამარჯვებისთვის თავიანთ ხელთ არსებულ ყველა რესურსსა და ნაცნობებს იყენებდნენ. საქმე კურიოზამდეც კი მისულა. ერთ ჯგუფს თანამოაზრეთა ერთ მუშტად შეკვრის მიზნით ყურანზე დაუფიცია, ვინც ღალატი გაივლოს გულში, ალაჰის რისხვა არ ასცდესო. აირჩიეს ახალი ხელმძღვანელობა, შეიქმნა სსიპ-საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი. მისი დირექტორი გახდა აქაური მეცნიერი თანამშრომელი გია ბოლქვაძე.

დაპირისპირება კოლექტივში ამის შემდგომაც გაგრძელდა. არ იქნა და მავანთა და მავანთა ამბიციები არ დაცხრა. საქართველოს განათლების სისტემაში კი რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია გრძელდებოდა. ქვეყნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეორგანიზაციის შემდეგ ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორია და მასში შემავალი ნაგებობები ჯერ განათლების სამინისტროს, შემდეგ კი თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მერიას გადაეცა.

ქ. ბათუმის მერიამ 2008 წლის 14 მარტის მერის №209 ბრძანებით გადაცემული ქონების ბაზაზე დააფუძნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც დაკომპლექტდა მეცნიერი თანამშრომლებითა და სხვა სამეურნეო და დამხმარე საშტატო ერთეულებით. დირექტორად მერის ბრძანებით დაინიშნა ბაღის ყოფილი მთავარი აგრონომი ეთერ მაჭუტაძე. ფაქტობრივად ბაღში ორხელისუფლებიანობა შეიქმნა.

„საქართველოს რესპუბლიკას“ ესაუბრა ვახტანგ აბულაძე, ბაღის ყოფილი ბუღალტერი: **„ჩვენთვის მოულოდნელი იყო ახალი დირექციის შექმნა. ეს ისე მოხდა, რომ არ გაუქმებულა სსიპ-ი, რომლის წლიური დაფინანსება დაახლოებით 230 ათას ლარს შეადგენდა. ამ დროს მერიამ ახალშექმნილ დირექციას 250 ათასი ლარის დაფინანსება მისცა. ფაქტობრივად ხარჯები ბიუჯეტიდან გაორმაგდა. დღემდე გაუგებარია, რატომ შეიქმნა ბაღის ორი მმართველი ორგანო, ცალ-ცალკე დაფინანსებით“.**

არ გასულა ორი თვე და, ბათუმის მერმა რობერტ ჩხაიძემ 2006 წლის 2 ივნისს გამოსცა ბრძანება №502, რომლის ძალითაც წინა ბრძანებით ის დამტკიცებული მუხლები შეიცვალა, რომლითაც ბაღის კოლექტივს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება და, აქედან გამომდინარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე ანგარიშვალდებულება ეკისრებოდა. ამიერიდან ბაღს აღარც აკადემიასთან კავშირი ევალებოდა და არც სამეცნიერო სამუშაოების ამსახველი მასალების წარდგენა. თუმცა ბაღში 12-კაციანი სამეცნიერო განყოფილება ხელუხლებელი დარჩა. უფრო მეტიც, დირექტორის მოადგილემ, ადმინისტრაციულ და აკადემიურ დარგში ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ვანო პაპუნიძემ ამის თაობაზე მხოლოდ ახლახან გაიგო.

**ვ. პაპუნიძე: „2008 წლის ოქტომბერში, როგორც წესი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას გავუგზავნეთ ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2009-2013 წლის თემატიკის გეგმის პროექტი. იგი შეთანხმებული იქნა აკადემიის აკადემიკოს-მდივანთან ბატონ ოთარ ნათიშვილთან, საიდანაც გადმოაგზავნა ქ. ბათუმის მერიაში, რადგან იგი მერს რობერტ ჩხაიძეს უნდა დაემტკიცებინა. გავიდა ხანი და ცნობილი გახდა, რომ აკადემიის მიერ გამოცემულ 2009 წლის შრომებში ჩვენი ნამუშევრები ვერ მოხვდა. დიდი ხანი არაა, რაც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბაღის საქმიანობის სტრუქტურიდან სამეცნიერო მუშაობა ამოღებული ყოფილა. აქამდე ეს ჩვენთვის უცნობი იყო. ახლა გაოგნებული ვართ, რა გზას დავადგეთ, არ ვიცით. არსებობს სამეცნიერო განყოფილება, მაგრამ არ ვართ ანგარიშვალდებული მეცნიერებათა აკადემიის წინაშე“.**



**— ბატონო ვანო, მსოფლიო ბოტანიკური ბაღების საქმიანობაში სამეცნიერო დატვირთვის იგნორირება ხშირად ხდება, თუ ჩვენი მაგალითია გამონაკლისი?**

— მსოფლიო ბოტანიკური ბაღების საქმიანობა, მათი მთავარი მიმართულების წარმართვა ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის საერთაშორისო საბჭოს მიერ შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე მიმდინარეობს. ეს ორგანიზაცია განლაგებულია ლონდონში, რომლის გენერალური დირექტორი გახლავთ სარა ოლდფილდი. ეს ქალბატონი 3 წლის წინათ იყო თბილისის ბოტანიკურ ბაღში, სადაც მოისმინა მოხსენების გაკეთება ბათუმის ბოტანიკური ბაღის წარსულის, აწმყოს და სამომავლო გეგმების შესახებ. ქალბატონი სარა ძალზე დაინტერესდა ბათუმის ბოტანიკური ბაღით, მისი უნიკალურობით და მსოფლიო ბოტანიკურ ბაღებს შორის განსაკუთრებული თავისებურებებით. იქ დაისვა საკითხი, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღი შესულიყო მსოფლიო ბოტანიკური ბაღების იმ ნუსხაში, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღების სტატუსი აქვთ. ამაში მხარდაჭერა აღგვითქვა ქალბატონმა სარამ. ამ სტატუსის მინიჭებისათვის სათანადო დახმარებას დაგვპირდა აკადემიკოსი გიორგი ნახუცრიშვილი (თბილისის ბოტანიკური ბაღის და ბოტანიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე – **ა.კ.**)

მაშინ ქალბატონ სარას ვთხოვე, გვსტუმრებოდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. დაგვპირდა კიდეც. მინდოდა მისი წელს მოწვევა, მაგრამ როცა ბაღი ასეთ მდგომარეობაშია, როცა მას არ გააჩნია საერთაშორისო ბოტანიკური ბაღების ძირითადი სტრატეგიული მიმართულება – სამეცნიერო კვლევითი სტატუსი, ცხადია, გარკვეულ უხერხულობას გამოიწვევდა.

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია ყოველ ორ წელიწადში მსოფლიო წამყვანი ბოტანიკური ბაღების წარმომადგენლობით აწყობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შეხვედრას დროის მოთხოვნის აქტუალობის გათვალისწინებით. წელს იყო ასეთი შეხვედრა ირლანდიაში, ქალაქ დუბლინში. შეხვედრის მთავარი მიმართულება იყო კლიმატის ცვლილებებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. ყოველ ასეთ შეხვედრაზე ხდება ბოტანიკური ბაღების სტრატეგიის რედაქტირება, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბოტანიკური ბაღების მთავარ სამოქმედო პროგრამას.

საერთაშორისო ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის საბჭოს წევრად მსოფლიოს 2000-ზე მეტი ბოტანიკური ბაღიდან 118 ბოტანიკური ბაღია გაწევრებული. მათ შორის, საბედნიეროდ, ბათუმის ბოტანიკური ბაღიც. სამწუხაროდ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლობა ირლანდიაში შეხვედრაზე არ იქნა წარგზავნილი.

დიდი სურვილია და, ალბათ, საუკეთესო შემთხვევაც იქნება, თუ 2012 წლისათვის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მსოფლიო ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შეხვედრა ქ. ბათუმში გაიმართება და ასე აღინიშნოს ბაღის იუბილე. ეს იქნებოდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიაში. გადაწყდებოდა უმნიშვნელოვანესი პრობლემები, გნებავთ ბაღის საერთაშორისო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღების ჩამონათვალში გაწევრების საკითხის დასმა, რომელიც გაეროს „ადამიანი და ბიოსფეროს“ საერთაშორისო ორგანიზაციაში დაფიქსირება და მათი ფინანსური და მატერიალური დახმარებისა და ყურადღების ცენტრში ხვდება.

მაგრამ რა? ვერ ვახერხებთ ამ საკითხების დაყენებას, დაინტერესებას და მხარდაჭერის მოპოვებას ბაღის ახლანდელი მფლობელის, ქ. ბათუმის მერიის მხრიდან. მრავალჯერ ვცადეთ, დეტალურად საქმის კურსში ჩაგვეყენებინა მერი, მაგრამ შეხვედრა ძალზე ჭიანურდება. არადა, ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის დრო აღარ ითმენს. ასეთი დაყოვნება ბაღს არ მოუტანს სიკეთეს.

უწინარესად საჭიროა, ბათუმის ბოტანიკურ ბაღს სამეცნიერო-კვლევითი სტატუსი აღუდგეს და გახდეს იგი ყოფილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის ბოტანიკური ბაღის უფლებამონაცვლე, შემუშავებული იქნას ახალი წესდება...

**გასაოცარია პირდაპირ, გყავდეს ისეთი კაცი, რომელიც მეცნიერებაში არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც წონად სიტყვას ამბობს და მის რჩევას ადგილზე არავინ უგდებდეს ყურს? არაფერს ეკითხებოდნენ მეცნიერს, რომელმაც ცხოვრების 36 წელი მიუძღვნა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, მონაწილეა მისი აღმავლობისა და გადარჩენისა. მისი საერთაშორისო კავშირები მაინც ხომ უნდა გამოიყენოს ან ბაღის ადმინისტრაციამ, ანდა ხელისუფლებამ? მეცნიერული მოღვაწეობა მიტინგებზე დროშის ქნევა და „კმარას“ ძახილი ხომ არაა, ეს თეთრად გათენებული ღამეებია ძიების, კვლევის, აღმოჩენის ძნელად სავალი გზა, რომელიც ყველას ხვედრი არაა. იგი ერთეულებს უბოძა დიდმა ღმერთმა და ამ ხალხის და მათი შესაძლებლობის არგამოყენება ქვეყნისა და ერის წინაშე დანაშაულია.**

ბაღის კოლექტივში ახალი განხეთქილება იასონ გორდეზიანის ღვაწლის წინ წამოწევამ გამოიწვია. ენციკლოპედია „აჭარის“ თანაგამომცემელმა, ენციკლოპედისტმა, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა ოთარ გაგუამ იასონ გორდეზიანის შესახებ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. ის ახლებურად წარმოაჩენს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიის საწყისებს. თუ აქამდე ბაღის დამაარსებლად და სამეცნიერო ხელმძღვანელად ერთპიროვნულად იყო მიჩნეული რუსი კრასნოვი, ო. გაგუას მტკიცებით ბაღის შექმნაში არანაკლები ღვაწლი მიუძღვის იასონ გორდეზიანს, ქართველ კაცს, რომელსაც პროფესიული განათლება მიღებული ჰქონდა ევროპაში და ლონდონის ბოტანიკური ბაღიდან გადმოყვანილ იქნა ბათუმში. კრასნოვი, რომელმაც ბაღისათვის ადგილი შეარჩია და პირველი მცენარეებიც გამოიწერა საზღვარგარეთიდან, ბაღის პირველი დირექტორი იყო. თუმცა ავადმყოფი მეცნიერი მალე სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ. როცა 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, იგი საქართველოში დაბრუნდა და იმავე წელს გარდაიცვალა. 1912 წელს დაარსებული ბაღის განვითარებით ტკბობაც ვერ მოასწრო რუსმა მეცნიერმა. ამ პერიოდში ბაღში ილვწოდა იასონ გორდეზიანი. ოთარ გაგუას მოსაზრებას და იასონ გორდეზიანის ღვაწლის წინ წარმოწევას შედეგად ის მოჰყვა, რომ ბათუმის მერიამ ქართველი მებაღე-აგრონომის ძეგლის შექმნაზე კონკურსი გამოაცხადა. გამოვლინდა გამარჯვებული მოქანდაკეც, შეიქმნა მაკეტიც. მაგრამ საქმე ამის იქეთ არ წასულა. როგორც ოთარ გაგუა თვლის, ეს შეგნებულად ხდება, რადგან მავანი და მავანი ვერ ეგუება იმას, რომ თურმე, კრასნოვს გარდა, ქართველი კაცის ღვაწლიცაა ბაღის შექმნაში.

ამჟამად, როგორც ბაღის ზოგიერთი მუშაკი თვლის, იგი მხოლოდ ტურისტულ საჩვენებელ ობიექტადაა ქცეული, თუმცა ამ ფუნქციასაც ვერ ასრულებს ისე, ჯეროვნად, როგორც უნდა ასრულებდეს. ეს საუკუნოვანი, უნიკალური ბაღი ამოვარდნილია მსოფლიო ბოტანიკური ბაღების საერთო ანსამბლიდან. მოწყვეტილია საერთაშორისო კავშირებს.

ბოტანიკური ბაღის დირექტორი ეთერ მაჭუტაძე ვერ უარყოფს ამას, კოლექტივის გახლეჩისა და დაპირისპირების შესახებ გავრცელებულ ხმებს და ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ აქ მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობაა და მეტი არაფერი.



**ეთერ მაჭუტაძე: ბაღი ვითარდება, თუ 2010 წელს ჩვენი დაფინანსება 500 ათას ლარს ცოტათი აღემატებოდა, მომავალ წელს ერთი მილიონი ვთხოვეთ ბათუმის მერიას, რათა შევძლოთ აუცილებელი სამუშაოებისა და ტექნიკის შეძენის დაფინანსება. სამი ოთხი წლის შემდეგ ჩვენ შევძლებთ, რომ თავად ბაღის შემოსავალი გავხადოთ ერთი მილიონი ლარი და ბაღმა თავი ირჩინოს დამოუკიდებლად. დღეისათვის წლევანდელმა შემოსავლებმა 200 ათასი ლარი შეადგინა, წლის ბოლომდე ასი ათასს კიდევ ველოდებით.**

**— 2012 წელს სრულდება ბაღის დაარსების ასი წლის იუბილე. ჯერჯერობით კი არც თქვენთან, არც მერიაში, ან აჭარის მთავრობაში არაა საიბილეო კომისიები შექმნილი, რას ელოდებით?**

— ველოდები, რომ კომისიას შექმნიან სახელმწიფო სტრუქტურები, შემდგომ კი ჩვენთანაც შევქმნით. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ უკვე ვმუშაობთ რიგი მასალების მოსამზადებლად. მე მინდა დაიწეროს ბოტანიკური ბაღის ნამდვილი, მართალი ისტორია, რომელიც მოხსნის ყველა იმ აზრთა სხვაობას, რაც ახლა არსებობს.

**— რა ეშველება იმას, რომ ბაღს არა აქვს სამეცნიერო საქმიანობის სტატუსი?**

— მართალი ხართ, მაგრამ ვფიქრობ, რომ 2011 წელს მას ეს სტატუსი აღუდგება. ესაა ერთადერთი, რაც დღესდღეობით ბოტანიკურ ბაღს აკლია. სხვა მხრივ კი ჩვენთან ყველაფერი კარგადაა.

ამ წერილის დასაწყისში ორხელისუფლებიანობაზე ვთქვი, ბაღში რომ შეიქმნა. დიდი ხანი არაა, რაც „სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი" ბათუმის უნივერსიტეტს შეუერთდა და ამით მისი არსებობაც დასრულდა. საინტერესო ისაა, რომ იმ 15 მეცნიერ თანამშრომელს, რომლებიც აქ იყვნენ გაერთიანებულები, ორი წლის განმავლობაში ბაღის ტერიტორიაზე არც კი უშვებდნენ. წარმოიდგინეთ, რა სამეცნიერო მუშაობა უნდა ეწარმოებინათ მეცნიერებს, რომლებსაც მცენარეებთან შეხებაც კი არ ჰქონდათ? ამას ყველაფერს კი მშვიდად უყურებდნენ სახელისუფლებო რგოლის ყველა საფეხურის ჩინოვნიკები. ბათუმის მერიაში, ანდა აჭარის სახელისუფლო შტოებში რომ ყოფილიყვნენ კომპეტენტური, საქმის მცოდნე ჩინოვნიკები, აუცილებლად ატეხდნენ განგაშს იმის თაობაზე, რომ ასი წლის ისტორიის მქონე ბაღში სამეცნიერო საქმიანობის მოსპობით იგი თავის პირდაპირ დანიშნულებას ველარ ასრულებდა. სამწუხაროდ, ბევრს, ვისაც ბაღის არსებობისთვის პასუხიმგებლობა ეკისრება, ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია ბოტანიკური ბაღისა და პარკის დანიშნულება.

დღეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი ტურისტულ-საჩვენებელ ობიექტადაა ქცეული, არადა, მისი პირდაპირი დანიშნულება კლასიკური გაგებით ასეთია: **„ბოტანიკური ბაღი არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევებისთვის, სახეობების კონსერვაციისთვის, სანახაობითი და საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებადი დოკუმენტირებული ცოცხალ მცენარეთა კოლექცია",** ამას ემატება ის, რომ ბაღში უნდა ინახებოდეს ცოცხალი სახეობები, იყოს თესლების ბაზა და ჰქონდეს ჰერბარიუმი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, ბოტანიკური ბაღების სპეციალისტმა ზურაბ მანველიძემ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ ბაღიდან გამქრალია, კოლექციიდან ამოვარდნილია, დაღუპულია, ან დაღუპვის პირასაა მისული მცენარეთა 533 სახეობა.

მე ბატონი მეცნიერის ნათქვამში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ამის ნახევარიც რომ იყოს გადაშენებული, ეს საგანგაშოა, ამას და სხვა საკითხებსაც აუცილებლად სჭირდება მოკითხვა და მოკვლევა იმ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ ეროვნული სიმდიდრის შენახვასა და განვითარებაზე.

იქნებ, მართლაც ეშველოს ბაღს. ახლახან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნიკა გილაურს წერილი გაუგზავნა, რომელშიც წერია **„...გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას, რათა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ბათუმის ბოტანიკურ ბაღს მიენიჭოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსი (რომელიც ბაღს თითქმის თავისი არსებობის 100 წლის განმავლობაში ჰქონდა მინიჭებული).**

**ჩვენი თხოვნის დადებითად გადაწყვეტით აჭარაში პირველი აკადემიური სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების — ბათუმის ბოტანიკური ბაღის ასწლიან ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანის — ბაღის მთავარი სტრატეგიული მიმართულების — მეცნიერული საქმიანობის ტრადიცია შენარჩუნდება და ამის საფუძველზე 2012 წელს აღინიშნება ბაღის დაარსების 100 წლის იუბილე".**

**ამირან კილურაძე,**

**„სრ" აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.**

***P. S. ერთი** თვის განმავლობაში ვცდილობდი ბათუმის მერთან რობერტ ჩხაიძესთან შეხვედრას და ამ წერილში დასმულ პრობლემებზე კომენტარის მიღებას. მერის პრესსამსახურს შეკითხვებიც დავუტოვე, თუ ვერ შემხვდება, იქნებ წერილობითი პასუხები მოამზადოთ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. არსით ხმა, არსით ძახილი. ცოდვას ვერ ვიტყვი, ერთხელ მერი ეკლესიაში ვნახე, ვერ შეგვხდი, დრო არ მქონდა, აუცილებლად დაგიკავშირდებითო, მითხრა. თქვენი არ ვიცი და მე არ მიკვირს ჩვენი შეხვედრა რომ არ შედგა, ბატონი მერი ძირითადად ბათუმის ბულვარში ღამის კლუბების გახსნითა და შოუ პროგრამების მონაწილეებთან შეხვედრებითაა დაკავებული. ჟურნალისტებიდან კი მხოლოდ სამთავრობოებს წყალობს.*

*ა. კ.*

## ◎ გაუმაძღრობა თუ უსინდისობა?

# ამბუბებუე წყაეს მოყოლილი გროშები

**თავდაპირველად, როცა საქართველოში მოქმედმა ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა ზოგიერთი კომუნალური გადასახადის (კერძოდ, ელექტროენერგიისა და გაზის) მომსახურებისთვის 50-50 თეთრი „მომსახურების დამატებითი ტარიფი" შემოიღო, ჩვენმა გაზეთმა იმის გარკვევა სცადა, თუ ვინ და რატომ დააწესა იგი. საკითხის გასარკვევად რამდენიმე ბანკის რამდენიმე ფილიალის მენეჯერს ვესტუმრე, მაგრამ ამის გარკვევა ვერ შევძელი იმ მარტივი მიზეზით, რომ აღნიშნულ საკითხზე ლაპარაკი არავის სურდა და თავში მხოლოდ საკუთარი „უსაფრთხოების" უზრუნველყოფა უტრიალებდა.**

შემდგომ ამ „ზოგიერთ" კომბანკს დანარჩენებიც შეუერთდნენ და „თელასისა" და „ყაზტრანსგაზის" კუთვნილ გადასახადს 50 თეთრს თუ არ დაუმატებდი, მათ დავალიანებას ვერანაირად ვერ გაისტუმრებდი. მაშინ ეჭვი იყო, რომ ეს 50-თეთრიანი გადასახადი კომბანკებისა და ამ ფირმების შეთანხმებით შემოიღეს, რაც ორივესთვის მომგებიანი იქნებოდა: ბანკები „თავისას" მიიღებდნენ, „თელასი" და „ყაზტრანსგაზი" თანამშრომელთა რიცხოვნობას და, შესაბამისად, გასავალს შეამცირებდნენ ისევ აბონენტთა ხარჯზე, რაც თუ არ აშენებდათ, მაინც იმ გავარდნილ ლუკმას დაემგვანებოდა, რომელიც უმჯობესია ჯამში ჩავარდეს. მას შემდეგ კი, როცა ყოფილმა „სახალხო ბანკმა" სახელი და, როგორც ჩანს, გარკვეულწილად პოლიტიკაც შეცვალა, რაც, კერძოდ იმაში გამოიხატა, რომ მომხმარებელთაგან დამატებით 50-50 თეთრის აკრეფაზე უარი თქვა, რაც ბოლოს საკმაოდ ფართო პიარკამპანიითაც გაახმაურა, ცხადი გახდა, რომ



ეს „მოსაკრეფელი" კომბანკების დაწესებულია.

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა — ბანკების საქმე მოგებაა და გაჭირვებული ხალხის დანდობა და მორიდება, აბა, რა სახსენებელია. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მეტროს სადგურების ფილიალებში ამ მოსაკრებელს თავდაპირველად არ იღებდნენ, თუმცა ეს, ასე ვთქვათ, „შეღავათიც" მალევე გააუქმეს.

ახლა, როგორც, ალბათ, ბევრმა აბონენტმა უკვე იცის, თბილისში სასმელი წყლის მონოპოლისტის, „ჯი ემ პეს" მომსახურების გადასახადის გადახდაზეც 50 თეთრის დამატება დააწესეს. აქაც საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ამას მარტო ფილიალებში ახდევინებენ, თუმცა სალარო აპარატები ამ თანხას აბონენტებისგან არ „იღებენ".

გასაგებია, რომ კანონი კომბანკებს ამის გაკეთებას არ უკრძალავს იმდენად, რამდენადაც ეს აკრძალული არ არის, მაგრამ თავად ბანკები რა ნამუსით გამოდიან ხალხში, როცა ერთ სულზე დაფიქსირებულ ყოველთვიურ 2.40 ლარს თავიანთ ხუშტურზე კიდევ თითქმის 25 პროცენტით ზრდიან? განა სინდის-ნამუსისგან ასე გარეცხილები როგორ არიან ეს ჩვენი „ფულის ტომრები"? ამ „მღვრიე წყლით" მოტანილ ფულს ვითომ რა სიმდიდრის მოტანა შეუძლია მათთვის, როცა ხედავენ, რომ კარს მომდგარ ზამთარში სურსათზე ფასების უპრეცედენტო ზრდის პირობებში ხალხის უმეტესი ნაწილი რეალური შიმშილობის პირასაა მისული? ნუთუ ყველას გულის ნაცვლად მკერდში საკუთარი საბანკო ანგარიში თუ პლატინის საკრედიტო ბარათი უდევს?

**ოთარ ტურაბელიძე**

## ◎ დაიჯესტი

### სად მგზავრობენ უნიტაზზე?

**სადღაც ვნახე სიუჟეტი უნიტაზის შესახებ ბორბლებზე. კიდევ რითი მგზავრობს ხალხი?**

**გ.სიხარულიძე, ახმეტა**



ამერიკელი დეილ ჰერში ოთხი წლის განმავლობაში აშენებდა ტუალეტომობილს, რომელზეც ახლა თავის 10 წლის შვილ მაიკლზთან ერთად დაქრის საათში 30 კილომეტრის სიჩქარით. ასი წლის წინათ ასეთივე სიჩქარეს ავითარებდა თავის ავტოპლანზე — ავტომობილისა და თვითმფრინავის ჰიბრიდზე — გლენ კიორტისი. შვეიცარიულ წყალქვეშა ამფიბიას შეუძლია განავითაროს სიჩქარე მხოლოდ სამი კილომეტრი საათში, სამაგიეროდ წყალსაცავის ფსკერზე. დიდი სიჩქარით არ გამოირჩეოდა ინგლისელი პილი, რომელმაც ნახევარი საუკუნის წინათ მინის ბოჭკოსგან ააგო ყველაზე პატარა ავტომობილი ისტორიაში: მისი სიგანე იყო 99 სანტიმეტრი, სიგრძე კი 164 სანტიმეტრი, იწონიდა 59 კილოგრამს.

### რისთვის უნდათ მაიმუნებს კომპიუტერი?

**ერთ-ერთ ზოოპარკში ვოლიერში, სადაც ჩავარდა შემთხვევით საბავშვო საკომპიუტერო სათამაშო, შეძლეს მისი ათვისება და ამჟამად ერთობიან „გეიმ-ბრძოლებით". კიდევ ცივილიზაციის რა სიკეთეა ხელმისაწვდომი ცხოველებისთვის?**

**თ.მაისურაძე, ხაშური**

— კომპიუტერი, ტელევიზორი მართვის პულტით, მაცივარი და თანაც მიკროტალღიანი — აი, იმ საგნების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც ხელმისაწვდომია ცხოველებისთვის, რომლებსაც აქვთ ერთგვარი ინტელექტი და განვითარებული მოტორიკა (როგორც წესი, ეს პრიმატები არიანძ, — ამბობს ზოოლოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომელი. — ცივილიზაცია, რომელიც ამარტივებს ტექნიკის



გამოყენებას, ყველაფერს აკეთებს, რათა ცივილიზაციის მიღწევები ხელმისაწვდომი აღმოჩნდეს დაბალი განვითარების ტვინისთვის. ერთ-ორ ღილაკზე თითის დაჭერა რაიმე შედეგების მისაღებად დიდ ტვინს არ მოითხოვს.

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი" აცხადებს:**

2010 წლის 17 ნოემბერს, ოთხშაბათს, 14:00 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზირი 39 (საზოგადოების ოფისი ქ. თბილისშიძ.

**დღის წესრიგი:**

1. 2009 წლის სამეურნეო ფინანსური ანგარიში;
2. ორგანიზაციული საკითხი.

**დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თურქეთის გაძლიერებამ საქართველოში შეიძლება რომ ახალი აზროვნება წარმოქმნას

**თურქეთის საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა არა მხოლოდ შეცვლის მის გარშემო მყოფი რეგიონის კონტურებს, არამედ შეიძლება აიძულოს დასავლეთი და მისი ორბიტისკენ მსწრაფი ქვეყნები დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ მოახდინონ თავიანთი პოზიციის ცვალებადობა გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ანკარის გადაქცევამ ძალებისა და გავლენების რეგიონალურ ცენტრად, შეიძლება განსაკუთრებული შედეგები იქონიოს საქართველოსთვის**

საქართველო არა მხოლოდ მეზობელია თურქეთისა. მას აქვს მასთან ძველი ისტორიული კავშირურთიერთობანი და ამჟამად მზარდი ვაჭრობა. რუსეთთან რთული გეოპოლიტიკური ურთიერთობანი ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც აიძულებს თბილისს გაითვალისწინოს თავის გაანგარიშებებში. ჯერჯერობით თურქული მოქცევის ტალღა არ არის საშიში საქართველოსთვის, მაგრამ ანკარის მომავალმა სტრატეგიულმა არჩევანმა შეიძლება აიძულოს თბილისი თავადაც აირჩიოს მოკავშირე მანამ, სანამ ამისთვის მზად იქნება.

თურქეთის გავლენის გაძლიერებაში ბევრი მიმზიდველი მომენტია. ჯერ კიდევ ადრე თურქეთი იყო ნატოს მრავალწლიანი რეგიონალური საყრდენი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ დღეს იგი ხდება კომერციის, დიპლომატიის, კულტურისა და ენერგეტიკის რეგიონალური ცენტრი. მაგრამ თურქეთის გაძლიერებას თან ახლავს მისი ისტორიული მცდელობანი – გააძლიეროს გავლენა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში. აღმოსავლეთის მიმართულებით ეს შემობრუნება ძნელად რომ ერთგანზომილებიანი იყოს. თურქეთმა უკვე შეცვალა თავისი პრიორიტეტები, ისრაელიდან ისინი გადაიტანა თავის არაბ მეზობლებზე. მან დაიწყო ურთიერთობათა პროცესი სომხეთთან, აგრეთვე დაიწყო პასუხების ძებნა ქურთების ძველი საკითხისთვის. თურქეთის მიერ აზრის შეცვლა თავისი ადგილისა და როლის შესახებ ევროაზიული სივრცის ცენტრში მოწმობს იმის შესახებ, რომ მისთვის სულ უფრო და უფრო მეტად კომფორტული ხდება რჩებოდეს რეგიონალურ სახელმწიფოდ. და აქ მნიშვნელობა არა აქვს, ეს პროგრესის თუ „ნეო-ოსმანიზმის" ნიშანია. თურქეთის შეცნობა დასავლეთის მეორეხარისხოვანი მოქალაქის როლში – ეს ყოველთვის არარეალური იყო.

თურქეთის რეგიონალური სტატუსის ზრდასთან ერთად საქართველომ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მას სულ უფრო და უფრო მეტად უნდა ამ ქვეყანასთან სიახლოვე. მიუხედავად თბილისის მიერ მიცემული ფიცისა ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი ერთგულების შესახებ, საქართველოს ისტორიული, კულტურული და მუდმივად მზარდი ეკონომიკური კავშირები თურქეთთან შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მიზიდულობის ძალა სულ უფრო მეტად დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ანკარისადმი შეიძლება გახდეს დასავლეთი საქართველოში. მაგალითად, მან შეიმუშავა ქვეყანაში ათასზე მეტი მასწავლებლის – ინგლისური ენის სპეციალისტის – მოზიდვის ამბიციური გეგმა.

თურქეთს შეიძლება არ ჰქონდეს ისეთი ემოციური მიმზიდველი მოტივები, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბრიტანეთს ან საფრანგეთს, მაგრამ მისი გეოგრაფიული სიახლოვე საქართველოსთან, აგრეთვე დაინტერესება შეინარჩუნოს რეგიონალური



კონკურენცია მოსკოვთან და ვაშინგტონთან დაკავშირებით.

არ არსებობს ეჭვი საქართველოს მთავრობის სწრაფვისა ამერიკისკენ. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სწავლობდა, ცხოვრობდა და მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის არაორაზროვნად აცხადებს თავის მორჩილებას შეერთებული შტატებისადმი და სიძულვილს საქართველოს უზარმაზარი ჩრდილოელი მეზობლისადმი. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სააკაშვილის კაბინეტი დაკომპლექტებულია ასევე დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და ტექნოკრატების კოჰორტით. საქართველოს მთავრობა ცდილობს გამოიყენოს ნებისმიერი შესაძლებლობა დასავლეთთან დასაახლოვებლად, ხოლო, როდესაც ეს არ გამოდის, თბილისი ცდილობს მოიზიდოს სტაბილურობა, შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი, რათა დაანგრიოს ვაშინგტონის მონოპოლია საქართველოს ხელმძღვანელობის სწრაფვასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ თბილისის განცხადება ნატოში შესვლასთან დაკავშირებით მაუდის ქვეშ ამოდეს ხანგრძლივი პერსპექტივით, თურქეთი, ისევე როგორც რუსეთი, საქართველოში ხედავენ თავიანთი ენერგეტიკული და დიპლომატიური სტრატეგიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. თუ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებთ, ანკარის რეგიონალურმა სწრაფვამ, აგრეთვე მისმა ისტორიულმა უნდობლობამ რუსეთისადმი შეიძლება გადააქციოს მოსკოვის გეგმა მიუღებელ იდეად საქართველოს გაფინეთებასთან დაკავშირებით. ბევრი ამერიკელისა და ევროპელისთვის საქართველო – ეს არის კიდევ ერთი შორეული საბრძოლო მოქმედებათა ყოფილი ზონა.

ნატოს ორაზროვანი დარწმუნებების კვალობაზე, აგრეთვე უპასუხოდ დარჩენილი საქართველოს თხოვნასთან დაკავშირებით თავდაცვის შეიარაღების მიწოდების შესახებ, თბილისში შეიძლება გაძლიერდეს იმის შეგრძნება, რომ ანკარა არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ინტერესების უფრო საიმედო დაცვა. საქართველოს არ შეუძლია მუდმივად ელოდოს დასავლეთს, და მის გადახრაზე ანკარის მხარეს მოწმობს ის ფაქტი, რომ თბილისი მიესალმა გარიგებას ბირთვული საწვავის გაცვლის შესახებ, რომელიც მიღწეული იქნა თურქეთისა და ბრაზილიის შუამავლობით, მაგრამ შემდგომში უარყოფილი დასავლეთის მიერ. ასეთი გადახრის კიდევ ერთი ნიშანია საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობათა სწრაფი დათბობა.

საქართველო უახლოეს პერიოდში უარს არ იტყვის თავის მისწრაფებაზე, გახდეს ევროატლანტიკური სტრუქტურების ნაწილი. არ შეურიგდება იგი თურქეთის ვასალად გადაქცევის პერსპექტივასაც. მაგრამ დასავლეთის ორბიტაში შესვლის მცდელობაში ნამდვილი პროგრესის უქონლობის პირობებში, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც საქართველოსთვის მოძულე რუსეთისადმი ამერიკის განტვირთვის პოლიტიკას უკვე მოაქვს ნაყოფი, თბილისმა შეიძლება იგრძნოს იძულებული მოთხოვნა თავისი საგარეო პოლიტიკის ვექტორების უფრო აქტიური დივერსიფიკაციის შესახებ.

თბილისისა და ანკარის უფრო აშკარა დაახლოების შემთხვევაში საქართველომ შეიძლება მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, განამტკიცოს თავისი პოზიციები უშიშროების თვალსაზრისით. ამავე დროს იგი უზრუნველყოფს კავშირურთიერთობების უფრო სწრაფად განვითარებას აღმოსავლეთ ქვეყნებთან. მაგრამ დასავლეთის გავლენის შემცირების დროს თბილისურ ელიტას შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, შეაჩეროს დემოკრატიული რეფორმები. ხოლო თუ საქართველოს საგარეოპოლიტიკური შეხედულებანი შეიცვლის მიმართულებას, მაშინ ამ ქვეყნის წვლილი ნატოს ძალებში და სხვა საერთაშორისო მისიებში, აუცილებლად შემცირდება. ამ შემთხვევაში გამოვა ისე, რომ დასავლეთი თავისი საკუთარი სტრატეგიული არაშორსმჭვრეტელობის გამო დაკარგავს შესაძლებლობას დათესოს ისტორიის თვალსაზრისით არახელსაყრელი ლიბერალიზაციის თესლი ქართულ მიწაზე.

WorldPoliticsReview

# ქართული ოპოზიცია რუსეთს შურიგდება

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოპონენტების საშემოდგომო გააქტიურება სულ უფრო შესამჩნევს ხდის „რუსეთის ფაქტორს" საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ადგილობრივი ოპოზიციონერები ამტკიცებენ, რომ საქართველოს 4 მილიონზე მეტი მოსახლეობის სამი მეოთხედი ისწრაფვის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ**

ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქი გასული წლის შემოდგომიდან უკვე მეცხრედ მოინახულა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. პარლამენტის ექს-თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც იყო მოსკოვში და იგი აღნიშნავს, რომ თუ ქვეყნის ინტერესი ამას მოითხოვს, კვლავ გაემგზავრება რუსეთის დედაქალაქში. მისი სიტყვებით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებაში აღარ იქნება პრეზიდენტი სააკაშვილი, გახდება შესაძლებელი პროგრესი ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

რუსეთში იყვნენ აგრეთვე კონსერვატორებისა და ხალხის პარტიის ლიდერები. ამავე დროს ქართველი ოპოზიციონერები უარყოფენ ხელისუფლების პრეტენზიებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს ისინი იზიდავდნენ რუსეთის დაპირებებს საქართველოში რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით. ოპოზიცია დაბეჯითებით აცხადებს, რომ მოსკოვთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია საქართველოსთვის ყველაზე აქტუალური პრობლემების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გადაჭრა. აგრეთვე საუბრობენ რუსეთის ბაზრის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს პროდუქციისთვის.

22 ნოემბერს გაიმართება „საქართველოს პარტიის" პირველი ყრილობა. პარტიაში შევიდა ბევრი ქართველი ავტორიტეტული ოპოზიციონერი, მათ შორის ყოფილი გენერალური პროკურორი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ოდესღაც მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში, სამშობლოში კი მას მისჯილი აქვს 11 წლის თავისუფლების აღკვეთა.

მაგრამ დღეს „საქართველოს პარტია", რომელშიც შედის ირაკლი ოქრუაშვილი, მოსკოვის შესახებ საუბრობს სავსებით სხვა ტონში. პარტიის ხელმძღვანელობაში მყოფი ცნობილი ქართველი ოპოზიციონერი ნიკოლოზ გუნცაძე აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის სასწრაფო მოწესრიგება შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, პირველ რიგში, მის უშიშროებას, რისი გარანტიც „ნატო ვერ გახდა, ამიტომ ამ ორგანიზაციაში შესვლა უკვე არ ატარებს ყოფილ მნიშვნელობას".

რუსეთთან დაახლოებას ქართულ ოპოზიციას უკარნახებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაც რეგიონში. ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში, ამჟამად კი რადიკალური ოპოზიციონერი გიორგი ხაინდრავა აცხადებს, რომ ამერიკელები „ცინიკურად ეპყრობიან საქართველოს". „ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება, როგორც თავისი ინტერესების გამტარებლები რეგიონში ან, როგორც საზარბაზნე ხორცი", – მიაჩნია მას.



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაში პროგრესს არ უნდა ველოდოთ, სანამ რუსეთი არ გაიყვანს თავის ჯარებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, სადაც შეძლებენ დაბრუნდნენ ქართველი ლტოლვილები.

ВРЕМЯ

## დედამიწის ზურგზე



**მეცნიერებმა აღმოაჩინეს „ანტიალკოჰოლური გენი", რომელსაც შეუძლია წაგვართვას კმაყოფილება დალევისგან**

ეს გენი აქვთ პლანეტის მოსახლეობის 10-20 პროცენტს. ის აძლიერებს ალკოჰოლის გახლეჩვას, აჩქარებს თრობის მდგომარეობის მოსვლას. ეს კი შეიძლება გამოიყენო იმისთვის, რომ ადამიანმა იგრძნოს ზიზღი ალკოჰოლისადმი.

* * *

**ბრიტანეთის მართლმსაჯულების მუზეუმში, სადაც სიკვდილით დასაჯეს ასობით დამნაშავე, სურათი გადაუღეს მოჩვენებას**



მართლმსაჯულების გალერეა ქალაქ ნოტინგემში ერთ-ერთ ყველაზე მჭუნვარე ადგილად ითვლება ქვეყანაში. ასობით მძარცველმა, მკვლელმა და ქურდმა დაასრულა იქ თავისი სიცოცხლე. მოჩვენებები შეიძლება არა მხოლოდ დაინახო: დამთვალიერებლები და მუზეუმის მუშაკები გრძნობენ აგრეთვე საეჭვო სუნსა და შეხებას.

* * *

**რუსი დეპუტატები ჩავარდნენ ისრაელის საზღვარზე 100 ათასი ევროს კონტრაბანდით**




ისრაელის კანონების თანახმად, ასეთი დიდი თანხები დეკლარირებული უნდა იყოს. დეპუტატების მხრიდან პროტესტის მიუხედავად, ფული ჩამოართვეს. საქმეში ჩაერთო რუსეთის ფედერაციის საელჩოც, მაგრამ მას უპასუხეს, რომ დეპუტატის სტატუსი არ იძლევა ისრაელის კანონების დარღვევის საფუძველს. ინციდენტი შეიძლება გახდეს საბაბი დიპლომატიური სკანდალისთვის.

* * *

**ჩილელმა მეშახტეებმა, რომლებიც გამოიყვანეს მიწისქვეშა ტყვეობიდან, ხუთი ქორწილი გადაიხადეს**



ზოგიერთმა მაღაროელმა თავიანთ ცოლებთან იცხოვრეს 20 წელი სამოქალაქო ქორწინებით და მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს ეკლესიაში ჯვრისწერა. მეშახტეების პირადი ცხოვრება განხილვის საგანი გახდა ჯერ კიდევ მათ გადარჩენამდე: ზედაპირზე ზოგიერთი მაღაროელის ცოლმა კონფლიქტი გამართა საყვარლებთან.

* * *

**დსთ-ს ქვეყნები უარს აცხადებენ რუსეთის იარაღზე**

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეალური ინიციატივების უქონლობა სრულმასშტაბიანი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის წარმოებისთვის ქვეყნებს შორის ხელს უწყობს რუსეთისა და საბჭოთა შეიარაღების გამოდევნის პროცესს დსთ-ს ქვეყნების არმიების უმრავლესობიდან. ამ დროს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან ვითარდება რუსეთის უახლოეს მოკავშირეებში.

მარად თანამედროვე აკაკი

# საწერეთლოში, ზემო იმერეთში...

***სხვიტორი ერთი პატარა, შთამბეჭდავი სოფელია საჩხერეში. დიდი ქართველი მგოსანიც რომ არ დაბადებულიყო იქ, სხვიტორი ჩაითვლებოდა იმერეთის ყველაზე უიშვიათეს სოფლად, თავისი ადგილმდებარეობისა და თვალწარმტაცი ბუნების გამო. ერთხელ თუ ნახავ, მეხსიერებიდან არასოდეს ამოვა მთათა შთამბეჭდავ წნულში ჩადგმული ეს დიდგვაროვანთა ულამაზესი საყუდელი. შემაღლებიდან ხელისგულზე გადაფენილა საჩხერის მთელი შემოგარენი, უმშვენიერესი ზვრები, სოფლები, გზები, ყანები თუ ვენახები. გამჭვირვალე ჰაერში მცენარეთა ნელსურნელება ტრიალებს. ჰავა ისეთი ნოტიო და თბილია, უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი. სიმართლე გითხრათ, გაზეთის ფურცლები სრულად ვერ გადმოსცემს იმ აღფრთოვანებას, რასაც უშუალოდ ამ მადლიან მიწაზე ფეხის დადგმითა და დიდი აკაკის ყოფისა თუ სულიერი განცდების გაზიარებით იღებ.***

170 წლის წინათ სოფელ სხვიტორში დაიბადა სამოციანელთა დასის ერთ-ერთი აქტიური წევრი, თერგდალეული, ახალი ქართული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი აკაკი წერეთელი. აქვე გარდაიცვალა უკვე მხცოვანი და ღვაწლმოსილი, სამშობლოსა თუ პირად ბედზე ურვით დამძიმებული, უკვე ხალხისგან შარავანდედდადგმული და აღიარებული. მისი საფლავი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია.

საჩხერეში საიუბილეო მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო, ყველა ცდილობდა, ღირსეულად შეხვედროდა დიდი მგოსნის უკვე მერამდენე იუბილეს და თავისი, თუნდაც მოკრძალებული წვლილი შეეტანა ამ ღირსსახსოვარი თარიღის აღნიშვნის საქმეში. მანამდე, 17 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ეწვია საჩხერეს, მოინახულა მისი სოფლები, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც აკაკი წერეთელი იზრდებოდა და ცხოვრობდა. ცნობილია, რომ საინიციატივო ჯგუფმა თხოვნით მიმართა წმინდა სინოდს, განეხილათ აკაკი წერეთლის წმინდანად შერაცხვის საკითხი, ქართველი ერის საზოგადოებრივი და სულიერი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის გამო. განიხილება მთელი მისი ცხოვრება და შესაბამისი გადაწყვეტილებაც, ალბათ, მალე იქნება.

17 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე ოფიციალურად გაიხსნა აკაკის საიუბილეო თვე. ამ დღეს აკაკის იუბილის აღსანიშნავად საჩხერის საზოგადოება შეიკრიბა და საზეიმო კონცერტი გამართა სოფელ სავანეში.

**ცეზარ ლაშხი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი**: აკაკის ასსამოცდამეათე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 17 ოქტომბრიდან დაიწყო აკაკის საიუბილეო თვე და ყოველი დღე დატვირთულია ღონისძიებებით, რომელიც საჩხერის გამგეობის უშუალო მხარდაჭერით მოეწყო. მათგან ყველაზე გრანდიოზული იყო კვირას სხვიტორში გამართული საღამო, რომელიც ტელევიზიითაც გაშუქდა. რუსთაველის თეატრის რეჟისორმა მარინა ბერიძემ და თეატრის დასმა მოამზადა და წარმოადგინა ინსცენირება აკაკის ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალებისა და შემოქმედების გარშემო. ღონისძიება დაიწყო სავანეში, შემდეგ გაგრძელდა სხვიტორში. მას უამრავი ხალხი დაესწრო, რაც იმას მოწმობს, რომ აკაკი, როგორც ზოგადქართული ფენომენი და საქართველოს ერთ-ერთი მოჭირნახულე, დღესაც პოპულარულია ქართველებში, პათოსითა და პატრიოტიზმით აღსავსე მის ნაწარმოებებს სათანადოდ აფასებენ ახალგაზრდებიც. დისკზე ჩაიწერა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციას. გამოიცა აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექციის მიერ შედგენილი წიგნი ,,მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი მსახური და მქადაგებელი“, შემუშავდა საჩხერის ჰერალდიკა, კონკრეტულად დროშა და გერბი, რომლის პრეზენტაცია მოხდება აკაკის საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში. ღონისძიებებში ჩართულია აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, საჩხერის კულტურის ცენტრი, საჩხერის სამუსიკო სკოლა, საჩხერის სამხატვრო სკოლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, საჩხერის საჯარო სკოლების დირექცია და აღსაზრდელები. სხვიტორის მუზეუმში გაიმართება ორი საინტერესო კინოჩვენება ერთი ცნობილი დოკუმენტური ფილმისა ,,აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ხოლო მეორე – ჩვენება სპექტაკლისა კოტე მახარაძის მონაწილეობით, რომელიც თავის დროზე აკაკის შემოქმედებას მიუძღვნა ერთი მსახიობის თეატრმა.

## სავანეში გატარებული წლები

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ჯერ კიდევ ჩვილი აკაკი სადუნიშვილების



ოჯახში გააძიძავეს, იყო ის, რომ მაშინდელი თავადაზნაურობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საეკლესიო განათლებას. აკაკის აღმზრდელი დედის მანო სადუნიშვილის მამა სავანის წმინდა სამების სახელობის ეკლესიის მოძღვარი იყო. იმ დროის საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოება აერთიანებდა ყველა ოჯახს და განსაკუთრებით თავადაზნაურობა ცდილობდა რელიგიურად აღეზარდა შთამომავლობა. აკაკის აღნიშნული აქვს თავის თავგადასავალში, რომ თუ რაიმე კარგი შერჩა ხასიათსა და ჩვეულებებში, ეს იმის გამო, რომ გლეხის ბავშვებში იზრდებოდა. აქ შეიძინა ადამიანობის, გლეხობისადმი კრძალვა და რიდი, გაიცნობიერა სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული, ეზიარა სოფლის ცხოვრების სისადავესა და სილამაზეს. როგორც აღნიშნავს, მან პატარა ასაკშივე იცოდა საქონლისა თუ შინაური ფრინველის მოვლაც, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაც და ის მამაპაპეული ადათებიც, რაც ქართველ გლეხობას საუკუნეების მანძილზე მოჰქონდა.

## მანო ძიძის გლეხურ ქოხში

აკაკის ძიძისეული ქოხი ერთგვარი ეთნოგრაფიული მუზეუმია იმ გაგებით, რომ მასში შემონახული ხის საოჯახო თუ სამეურნეო ნივთები ნათლად გვიხატავენ ეპოქისა და კუთხის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების დეტალებს. ესაა პატარა ხის სახლი, რომელსაც თავის დროზე ფანჯრები არ ჰქონია და საბჭოთა ეპოქაში გამოუჭრიათ ორი ურთიერთპარალელური სარკმელი, რომ მნახველებისთვის ბუნებრივი განათების მაგივრობა გაეწია. სამაგიეროდ, სახლს ორი კარი აქვს – წინკარი და უკანა კარი, რომელიც ყოველთვის არ იყო ღია. თავის დროზე სახლი ისლით – ჭაობის წყალგაუმტარი ბალახით იყო დახურული და სულ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მუზეუმს რესტავრაცია ჩაუტარდა, გადაწყდა მისი შეცვლა. ჭერში დატანებულია შუაცეცხლი, რაც ტიპიური იყო მაშინდელი გლეხური ყოფისთვის. მას ჰქონდა ძაბრისებური ღია ყელი, რომელშიც დაუბრკოლებლად გადიოდა კვამლი, პარალელურად კი სახლში შუქი შემოდიოდა. აქ იხარშებოდა კერძები, აქ ატარებდნენ დროის უმეტეს ნაწილს და ცეცხლზე თბებოდნენ ოჯახის წევრები ზამთარში. აკაკის თავის თავგადასავალში ნათქვამი აქვს, რომ ამ შუაცეცხლის გარშემო ტრიალებდა მთელი ოჯახი, მუდამ წაგორებული იყო ჯირკი, გიზგიზებდა ცეცხლი და ზამთრის გრძელი ღამეებიც აქ არაკრაკებული ლექსების, შაირების, გამოცანებისა და ანდაზების მოყოლაში ილეოდა. შუაცეცხლის გვერდით დგას ტაბლა, თავის ჯორკო სკამებით, რომელიც უმთავრესად ოჯახის პატარა წევრებისთვის იყო განკუთვნილი. ტაბლა ძირითადად კედელზე იყო ჩამოკიდებული, ძიძა ჩამოიღებდა მას ყოველ სადილზე, გაშლიდა სუფრას და აკაკი ძიძიშვილებთან და მეზობლის ბავშვებთან ერთად შეექცეოდა საკვებს. სახლში შემონახულია ასევე მოზრდილი ხონჩა, რომელსაც ძიძა იყენებდა სადილის დასაწყობად და სუფრასთან მისატანად. სახლი წარმოადგენს ერთ დიდ ოთახს, რომელშიც თითოეულ კუთხეს თავისი კონკრეტული დანიშნულება აქვს. ოთახის ერთ მხარეს, თითქმის მთელ სიგრძეზეა ეგრეთ წოდებული სკამ-საწოლი, რომელიც ასრულებდა ღამით საწოლის, ხოლო დღისით სკამის დანიშნულებას. ოთახის კუთხეში ორი არცთუ მცირე ზომის ძველებური სკივრია, რომლებშიც ინახებოდა ძვირფასეულობა, ახალი ტანსაცმელი და ჭურჭელი. უკანა კართან ჩამოკიდებულია ქალამნები, ხბოს ტყავით შეკერილი უქუსლო ფეხსაცმელი, რომელსაც მაშინდელი გლეხობა ატარებდა. ასევე შემონახულია ძიძისეული მატყლის სართავი, თითისტარი და საჩეჩელი, რომელსაც გლეხის ქალები წინდის საქსოვი მატყლის დასართავად იყენებდნენ. ასევე უკანა კართანაა აკაკის საწოლი, რომელშიც მას ექვს წლამდე ეძინა. როგორც ცნობილია, აკაკის, როგორც თავადიშვილს...

## იუბილე ტრადიციაა

ეს პირველი იუბილე არაა, რომელსაც სახალხოდ აღნიშნავენ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი სულ ოთხიოდე წლის წინათ შეკეთდა. სხვიტორის მუზეუმს 22, ხოლო სავანისას 5 თანამშრომელი ემსახურება. უამრავი საიუბილეო ექსპონატი თუ ბეჭდვითი გამოცემაა გამოფენილი წერეთლის მუზეუმის კინო საპროექციო დარბაზში. როგორც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა გვითხრა, საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა თავის დროზე მუზეუმის სარესტავრაციოდ, მაგრამ გაცილებით მეტია გასაკეთებელი. საპროექციო დარბაზი, რომელიც სამოციან წლებში აუგიათ, არღვევს მუზეუმის მემორიალობას და სასურველია, ის გატანილ იქნეს მუზეუმის ტერიტორიიდან, რაც დაგეგმილი იყო კიდეც, მაგრამ გაუგებარი მიზეზებით მუზეუმის გაფართოების პროექტი შეჩერდა. მით უმეტეს, რომ შენობის ქვედა სართული სპეციფიკური არქიტექტურის გამო საგრძნობლად ნესტიანია და მუზეუმის ექსპონატების შენახვა მასში არ ხერხდება. კინოსაპროექციო დარბაზად მისი გამოყენებაც არაა მიზანშეწონილი შეუსაბამო აკუსტიკისა და განათების გამო. ამჟამად დარბაზში გამოფენილია აკაკის მემკვიდრეობა, სხვადასხვა დროს გამოცემული მისი კრებულები, ის მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც აკაკის შემოქმედებას ეხება. აქაა თასები და ამფორები ღირსსახსოვარი წარწერებით, ძვირფასი ლენტებით შემკული უზარმაზარი ხელოვნური თაიგული თუ სხვანი და სხვანი, რომლებიც გვამცნობენ, რომ მგოსნის 120, 140, 150 წლის იუბილე დიდი მოწიწებითა და სიამაყით აღუნიშნავთ საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულისა თუ იმერეთის სხვა ქალაქების მცხოვრებლებს. მართალია, კინოდარბაზი, რომელიც ოთხი წლის წინათ შეკეთდა და გათანამედროვდა, შესანიშნავად გამოიყურება, მაგრამ მაინც არის საჭიროება უამრავი ექსპონატისთვის, რომელიც ახლა აკაკის მეუღლის ნატალიას ოთახშია გამოკეტილი, გაკეთდეს ცალკე საექსპოზიციო დარბაზი და მნახველს შეექმნას სრული სურათი აკაკის შემოქმედებით კავშირებსა თუ იმდროინდელ ყოფაზე, პოეტის მდიდარ შემოქმედებით სამყაროსა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. მუზეუმის თანამშრომლებმა გულისტკივილით შემომჩივლეს, რომ დროთა განმავლობაში შეუსაბამო პირობებში ეს მართლაც მდიდარი მასალა გაფუჭდება, მაგრამ მათ ამჯერად სხვა არა შეუძლიათ რა, ცდილობენ გაუფრთხილდნენ და მოთმინებით დაელოდონ დღეს, როცა სათანადო სახსრები გაჩნდება და მთავრობა აკაკის დედისეულ ბაღსაც აღადგენს, იმ ისტორიულ მრგვალ შენობასაც, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს საექსპოზიციო დარბაზის მოვალეობას ასრულებდა და ეგებ ამ მდიდარ ექსპოზიციასაც გამოენახოს სათანადო ადგილი.



**რიმა პაპანაძე, დირექტორის მოადგილე**: ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად რა მიზეზით შეჩერდა მუზეუმის რესტავრაციის პროცესი, რომელიც აკაკის საიუბილეოდ დასრულებულიც კი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ხედავთ, რომ საქმე წინ ოდნავადაც არაა დაძრული. ჩვენი მოსაზრებით, რაიონში დაგეგმილი ყველა პროექტი და შესაძლოა ჩვენი მუზეუმის აღდგენაც შეჩერდა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი და მისასალმებელი კი ამ პროექტში ის იყო, რომ უნდა აღედგინათ მუზეუმის მემორიალობა, რაც იმას გულისხმობს, რომ პირვანდელი სახე უნდა მიეცათ მუზეუმის მთელი ტერიტორიისთვის, მათ შორის, აღდგებოდა მიწასთან გასწორებული აკაკის დედისეული ბაღიც, რომელზეც დროებით განთავსებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ესაა 5 ჰექტარი მოცულობის ტერიტორია, სადაც მდებარეობს ისტორიული ხის მრგვალი შენობა და ამჟამად იქ განთავსებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. თუმცა მიზანშეწონილია და გეგმაშიც ასეა, ბიბლიოთეკა უნდა გამოვიდეს ისტორიული შენობიდან. იქ მდებარეობს კიდევ ერთი, საბჭოთა წყობილების დროს აგებული შენობა, რომელშიც ამჟამად მხარეთმცოდნეობის მუზეუმია განთავსებული.

სხვათა შორის, ბაღი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აკაკიმ პირველი, აბსოლუტურად გამართული ლექსი სწორედ ამ ბაღის არსებობას უძღვნა. აკაკის დედა, ეკატერინე აბაშიძე ძალიან შრომისმოყვარე ქალი იყო და საკუთარი ხელით გაუშენებია ეს ბაღი, რომლის სილამაზემაც თორმეტი წლის აკაკი ისე აღაფრთოვანა, რომ მომავალმა პოეტმა ქვაზე საკუთარი ხელით ამოკვეთა აკროსტიხით შესრულებული საკმაოდ ცნობილი ლექსი. აკროსტიხში დედის სახელი ეკატერინე იკითხება. სამწუხაროდ, იმ ქვას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ლექსის ტექსტი შემონახულია. იმდენად საუცხოო ყოფილა ის ბაღი, მნახველს ატყვევებდა იშვიათი ჯიშის ყვავილებითა და ხე-მცენარეებით, შადრევნებითა თუ აუზებით, რომლებშიც ოქროს თევზები ბინადრობდნენ და სწორედ რომ ზღაპრული გარემო იყო შექმნილი ამ წარჩინებული, თუმცა იმდროინდელ დიდგვაროვან წერეთელთა შორის არცთუ ისე მდიდარი ოჯახის გარშემო. ბაღი წარმოადგენდა ოჯახის საზაფხულო რეზიდენციას და მრავალი ქართველი თუ უცხოელი მოღვაწე სტუმრობდა თავის დროზე. ბაღი მოინახულეს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა, არტურ ლაისტმა და დარწმუნებულნი ვართ, მისი როგორც აღდგენით, ასევე ხილვით, საქართველოს მრავალი უცხოელი მეგობარი და გულშემატკივარი დაინტერესდება მომავალში.

## აკაკის ცოლ-შვილი

24 წლის იყო აკაკი, როცა დაქორწინდა მოსკოვში და ცოლად შეირთო პოლონელი წარმოშობის რუსი დიდგვაროვანი ნატალია ბაზილევსკაია.

თუმცა ამის შესახებ პოეტი ამბობს, კაცი ნუ დაიქადებს, ამას ვიზამ და იმას ვიზამ, გადაწყვეტილი მქონდა, ცოლი საერთოდ არ შემერთო ცხოვრებაში, განსაკუთრებით უცხოელი, მაგრამ გარემოებას ყველაფერი შეძლებიაო.

ასე იყო თუ ისე, ქორწინება შედგა და ნატალიას აკაკისგან ვაჟი ალექსი შეეძინა. რთული იყო წყვილის ცხოვრება. ერთხანს სხვიტორშიც ჩამოსულან ერთად საცხოვრებლად, მაგრამ შემდგომ ნატალია შვილიანად რუსეთში დაბრუნებულა და სხვადასხვა ქალაქებში გადადიოდა საცხოვრებლად. სხვიტორში დარჩენილ აკაკის ცოლ-შვილი ზაფხულობით აკითხავდა. აქ თავდაუზოგავი შრომა უწევდა, რომ ფული მოეგროვებინა და მათთვის გაეგზავნა.

ალექსი ზაფხულობით სტუმრობდა მამას, განათლება რუსეთში მიიღო, პროფესიით ინჟინერი საბალეტო დასს ჩაუდგა სათავეში და ცნობილი ანტვერპრენიორიც გახდა. ბოლო წლებში საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად დედასთან ერთად და იქვე გარდაიცვალნენ ორივე. დღეისათვის მათი საფლავები დაკარგულია, რადგან იქაური კანონმდებლობის მიხედვით, თუ არ გადაიხდიან საფასურს, რომელიც საფლავის მოვლასა და შენარჩუნებას სჭირდება, მას აუქმებენ.

ღრმად მოხუცებული აკაკი შვილის ხელში გარდაიცვალა. როდესაც მძიმედ ავად გახდა, შვილს ტელეგრამით აცნობეს და ისიც ჩამოვიდა სხვიტორში მომაკვდავი მამის მოსანახულებლად. პოეტმა ფილტვის უკმარისობით შვილის მკლავზე დალია სული.

როგორც სხვიტორის, ისე სავანის მუზეუმი ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობაა და ამდენად სახელმწიფო მზრუნველობასა და მხარდაჭერას საჭიროებს. ბოლო წლებში მნახველთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, შარშან კი ვიზიტორთა რიცხვმა რეკორდულ ციფრს, ოცი ათასს მიაღწია.

**ლიანა თაბუკაშვილი.**
**საჩხერე-თბილისი**

ფეხბურთი

# უძლეველთა კვარტეტი



**„ბაიერნი“, „ჩელსი“, „რეალი“ და „არსენალი“ – ეს ის კლუბებია, ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში გასვლის საკითხი ჯგუფური ტურნირის პირველივე წრეში რომ გადაწყვიტეს დადებითად და ქულათა მაქსიმუმით სათავეში ჩაუდგნენ თავიანთ კვარტეტებს.**

მათგან სამშაბათის რაუნდში განსაკუთრებით „არისტოკრატებმა“ იყოჩაღეს, რომლებმაც საწადელს სტუმრად, შესვენებამდე მიაღწიეს. თანამემამულეთა რბევას სათავე დიდებული შორეული დარტყმით ჟირკოვმა დაუდო, მოსკოველთა ქართველი ლეგიონერი ჯანო ანანიძე კი ბრძოლაში 86-ე წუთზე ჩაება, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

სხვათა შორის, იმ საღამოს გოლი ყოფილ თანაკლუბელებს „შახტარის“ თავდამსხმელმა ედუარდომაც გაუტანა, მაგრამ ამ დროს დონბასელთა მეტოქეს მსუყე გამარჯვების საქმე კარგა ხნის მოგვარებული ჰქონდა, თანაც ლიდერების – არშავინისა და ვან პერსის გარეშე, რომლებიც შეხვედრის დასაწყისს სათადარიგოთა სკამზე შეეგებნენ.

**გაუწყებთ III ტურის სრულ შედეგებს:**

**„ე“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „კლუჟი“ 3:2, „რომა“ – „ბაზელი“ 1:3.

„ბაიერნი“ – 9, „ბაზელი“, „კლუჟი“, „რომა“ – 3-3 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „სპარტაკი“ – „ჩელსი“ 0:2, „მარსელი“ – „ჟილინა“ 1:0.

„ჩელსი“ – 9, „სპარტაკი“ – 6, „მარსელი“ – 3, „ჟილინა“ – 0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „მილანი“ 2:0, „აიაქსი“ – „ოსერი“ 2:1.

„რეალი“ – 9, „მილანი“, „აიაქსი“ – 4-4, „ოსერი“ – 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „არსენალი“ – „შახტარი“ 5:1, „ბრაგა“ – „პარტიზანი“ 2:0.

„არსენალი“ – 9, „შახტარი“ – 6, „ბრაგა“ – 3, „პარტიზანი“ – 0 ქულა.



ჭადრაკი

# სამსხვერპლოზეა „მიკა“



**პლოვდივში მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მესამე ტურში ყურადღებას იპყრობს ლიდერების – თბილისის „სამაიას“ და ერევნის „მიკას“ შეხვედრა. პირველ დაფაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მაია ჩიბურდანიძე და ელინა დანიელიანი.** სომეხი დიდოსტატი ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონთან ვერაფერს გახდა და დამარცხდა. ასევე, წარმატებით ითამაშა ნინო ხურციძემ, რომელმაც ლილით მკრტიჩიანს სძლია. სალომე მელია ერევნელთა სახელით მოასპარეზე ინდოელ ჰარიკა დრონავალს დაუზავდა, ბელა ხოტენაშვილმა კი ლილით გალოიანთან წააგო. ამ გამარჯვებით „სამაია“ სამი ტურის შემდეგ 6 ქულით კრასნოტურინსკის (რუსეთი) AVS-თან ერთად ლიდერობას ინარჩუნებს. ამ უკანასკნელმა მესამე ტურში „გიპრორეჩტრანს“ (რუსეთი) აჯობა 2,5:1,5. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა „მონტე კარლომ“ იტალიურ „ფიერ კიეტს“ გადაუქროლა – 3,5:0:5.

ვაჟებში 3 ტურის შემდეგ 6-6 ქულით „ბიჰაჩი“ (ბოსნია-ჰერცეგოვინა), „ეკონომისტი“ (რუსეთი“), „მიკა“ (ერევანი), „სოკარი“ (აზერბაიჯანი) და „მოსკოვი“ (რუსეთი) ლიდერობენ.

**ლექსო ცინცაძე**

თავისუფალი ჭიდაობა



# ქართული დესანტი – ერევანში

**მომავალ უქმეებზე სომხეთის დედაქალაქში სერჟ სარგისიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით მიემგზავრება.** ერევნის ხალიჩაზე ძალებს გამოცდიან ბესარიონ გოჩაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55კგ), მალხაზ ზარქუა, მალხაზ ქურდიანი (60კ), შალვა მუზიაშვილი, კობა კაკალაძე (66კ), დავით ხუციშვილი, მალხაზ მუზიაშვილი, გელა სალირაშვილი (74კ), ბექა ჭელიძე, არჩილ ქიტიაშვილი (84კ), ელიზბარ ოდიკაძე (96კ), დავით მოძმანაშვილი, გიორგი საკანდელიძე და გიორგი ნიკურაძე (120კ). ტრავმების გამო ერევანში ოთარ თუშიშვილი (66კ) და გიორგი გოგშელიძე (96კ) ვერ მიემგზავრებიან.

**გივი გაგუა**

64 უჯრა

# საშამათო კომბინაციები

ფარაგო-რიგო 1976



[illegible]

ბროშტეინი-კოტოვი 1946



[illegible]

მოამზადა
**თამაზ შენგელია**

ინტერნეტიდან

## ფიფა იმუქრება



**როგორც უკვე ვწერდით (19.10), ბრიტანული გაზეთის Sunday Times ჟურნალისტებმა დაადანაშაულეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) ჩინოვნიკები – ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რეინალდ ტემარი და დასავლეთ აფრიკის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ნიგერიელი ამოს ადამუ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის თავიანთი ხმების აშშ-სთვის მხარდასაჭერად გაყიდვის თაობაზე.**

ფიფას ეთიკის კომიტეტი, რომელიც იკვლევს ამ ბრალდებას, აცხადებს, რომ თუ კი გამოძიების შედეგად გამოირკვევა ასეთ გარიგებაში მონაწილე რომელიმე ქვეყანა, განაცხადი რომ აქვს შეტანილი 2018 ან 2022 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლობაზე, მას ჩამოერთმევა კონკურსში მონაწილეობის უფლება, რადგან ეს აკრძალულია ფიფას წესებით.

როგორც ფიფას თავკაცმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, ბრიტანული პრესის ბრალდებასთან ერთად შეისწავლიან ეჭვსაც ფეხბურთის ფედერაციების მოლაპარაკებებზე დასახელებულ ჩემპიონატების მასპინძლობის მოპოვების შესახებ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ამ ბრალდების გამოქვეყნებიდან ერთი კვირით ადრე აშშ ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა ჩემპიონატის მასპინძლობაზე.

## ვინ იქნებიან საუკეთესონი?

**მონტე-კარლოდან იტყობინებიან, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა წოდების „წლის საუკეთესო მძლეოსანი“ კანდიდატთა სია. გამარჯვებულთა ვინაობა გამოცხადდება IAAF-ის ტრადიციულ გალა-საღამოზე ნოემბერში მონტე-კარლოში.**

აი, ვინ მოხვდნენ ამ სიაში: კრისტიან კანტველი (აშშ, ბირთვი), ტაისონ გეი (აშშ, 100 და 200 მეტრზე სირბილი), სტივენ ჰუკერი (ავსტრალია, ჭოკით ხტომა), ბერნარდ ლაგატი (აშშ, 3000 მ.), კრისტოფ ლემეტრი (საფრანგეთი, 100 და 200 მ.), დევიდ ოლივერი (აშშ, 100 მ. თარჯრბენი), დავიდ რუდიშა (კენია, 800 მ), ერსენაი ტადესე (ერითრეია, ნახევარმარათონი), ტედი ტამგო (საფრანგეთი, სამმაგი ხტომა), ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია, შუბი), ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი (იამაიკა, 100 მ), მილკა ჩემოს ჩიევა (კენია, 200 მ. დაბრკოლებებით), მესერეტ დე ფარი (ეთიოპია, 3000 მ.), ჯესიკა ენისი (ბრიტანეთი, შვიდჭიდი), ელისონ ფელიქსი (აშშ, 200, 400 მ.), ფაბიანა მურერი (ბრაზილია, ჭოკი), ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელორუსია, ბირთვი), ოლგა რიპაკოვა (ყაზახეთი, სამმაგი ხტომა), ბლანკა ვლასიჩი (ხორვატეთი, სიმაღლეზე ხტომა), ანიტა ვლოდარჩიკი (პოლონეთი, ურო).

როგორც გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ სინანულით წერს, მრავალი წლის შემდეგ პირველად ამ პრესტიჟულ სიაში ვერ მოხვდნენ რუსეთელი სპორტსმენები.

## გაყრა — 110 მილიონად

**მსოფლიოში ყველაზე აღიარებული მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, როგორც უკვე ვწერდით, შარშან აგორებული სკანდალის შემდეგ გაეყარა თავის ლამაზმან ცოლს ელინ ნორდეგრენს, რისთვისაც მას 110 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. ეს „ძვირფასი“ გაყრა ოფიციალურად მოხდა ქალაქ პანამა-სიტის საოლქო სასამართლოში ყოფილი ცოლ-ქმრის დასწრებით.**



შეგახსენებთ, რომ სკანდალი დაიწყო შარშან, მას შემდეგ, რაც 27 ნოემბერს უმდიდრესი სპორტსმენი ვუდსი ორლანდოს მახლობლად მცირე ავარიაში მოხვდა. ზოგი აცხადებდა, რომ ვუდსი ნასვამი იყო, სხვანი კი – რაღაც წამლებს იკეთებდაო. იქამდე კი პრესაში გაჩნდა ცნობა მეგოლფის განზე რომანების შესახებ. ასახელებდნენ ნიუიორკელ ოფიციანტს რეიჩელ უჩიტელს, შემდეგ კი ათობით სხვა ქალიც ამოტივტივდა.

თებერვალში ვუდსმა ბოდიში მოუხადა ცოლს ღალატისთვის და მკურნალობა დაიწყო.

მაგრამ ტაიგერის ცოლმა – შვედმა მოდელმა, უკვე ორი შვილის დედამ, მაინც მოითხოვა განქორწინება.

## განცხადება

**სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1 პრიმა პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 18.5 პუნქტის შესაბამისად სს „ელმავალმშენებლის“ 87 პროცენტ აქციათა მფლობელი კომპანია „LOKO TRANS HOLDINGS B.V.“-ის რწმუნებულმა ო. გ. ზირიანოვმა განიხილა რიგი საკითხები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1. სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „ელმავალმშენებელს“ შორის დადებულ №001033 (28.06.2007 წ.ძ საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების პირობებში შეტანილ იქნას ცვლილებები, კერძოდ:

— გაიზარდოს საკრედიტო ხაზის ლიმიტი 25 (ოცდახუთიძ მილიონ აშშ დოლარამდე;

— შეიცვალოს საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადა 240 (ორას ორმოციძ თვემდე;

— განისაზღვროს წლიური საპროცენტო სარგებელი კრედიტებზე 10 (ათიძ პროცენტიდან 25 (ოცდახუთიძ პროცენტამდე;

— განისაზღვროს წლიური საპროცენტო სარგებელი დოკუმენტალურ ოპერაციებზე 3 (სამიძ პროცენტიდან 12 (თორმეტძ პროცენტამდე;

2. საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების №001033 (28.06.2007 წ.ძ მიხედვით ვალდებულების უზრუნველსაყოფად, გაფორმებულ იქნას ხელშეკრულება (ხელშეკრულებებიძ; სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებული ნებისმიერი მოძრავი ქონების (მათ შორის ყველანაირი არამატერიალური ქონებისძ დაგირავებაზე და სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვაზე სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ;

3. საკრედიტო და უზრუნველყოფის ხელშეკრულებების სს „საქართველოს ბანკის“ მიერ დამტკიცებულ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, საკრედიტო და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დამატებები;

4. სს „ელმავალმშენებლის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ ზ. ცინცაძეს მიეცეს სს „საქართველოს ბანკთან“ შესაბამისი ხელშეკრულებების და დამატებითი შეთანხმებების ხელმოწერის უფლებამოსილება.

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## ჩვენი კარაბადინი

### რატომ ვცრუობთ?

**ჯერ კიდევ ბავშვობიდან ავითვისეთ: სიცრუე — ცუდია. მაგრამ რაც ასაკი გვემატება, მით იოლად ვუვლით გვერდს ამ წესს. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვართ, რომ ზოგჯერ სიცრუეც გადამრჩენია, და წმინდა სიცრუე კი... და ა.შ.**

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ სიცრუე უმეტეს შემთხვევაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ.

მოდით, გავერკვეთ, თუ რომელ შემთხვევაში ვამჯობინებთ სიცრუის თქმას და რატომ ხდება ეს ასე.

### საკუთარი სიმშვიდისთვის

**ზოგჯერ უფრო მარტივია, დაჰპირდეთ ქმარს, რომ შეასრულებ მის თხოვნას, რომლის შესრულებასაც არც ვფიქრობთ, ვიდრე მოისმინო მისი საყვედურები თემაზე: აიო, სხვისი ცოლებიო...**

როგორ მოვიქცეთ? ეს მეტყველებს თქვენს უუნარობაზე, დაიცვათ თქვენი ინტერესები. სავსებით შესაძლებელია, რომ სამსახურშიც გირჩევნიათ იყოთ ჩუმად, ვიდრე გამოთქვათ თქვენი აზრი სადავო საკითხებზე. რასაკვირველია, ურთიერთობათა გარკვევა ამაღლებულ ტონზე არ არის საუკეთესო გამოსავალი არც ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში, არც კოლეგებთან. მაგრამ თავისი პოზიციის გამოთქმა და რაიმეს გაკეთების სურვილის არქონა, მაგალითად, ქმართან ერთად ამ გამოსასვლელ დღეებში აგარაკზე რომ არ გინდა წასვლა, უკეთესია, ვიდრე უბრალოდ გაჩუმდე. გაგიკვირდებათ, მაგრამ დროულად გაკეთებული განმარტება ბევრ პრობლემას ხსნის. ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ქმარსაც დიდად არ ეხალისებოდეს აგარაკზე წასვლა?!

### სხვათა გრძნობები რომ დავინდოთ

**მაგალითად, თუ ქმარი ეჭვიანია, თქვენმა საუბარმა, რომ სახლში მანქანით მოგიყვანათ კოლეგამ, შეიძლება ოჯახური დავა გამოიწვიოს. იოლია თქმა, რომ მოგიყვანათ მეგობარმა ქალმა.**

როგორ მოვიქცეთ. თქვენს ურთიერთობაში აშკარაა ნდობის დეფიციტი. და არ აქვს მნიშვნელობა: იმის გამო, რომ თქვენი მამაკაცი არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში, თუ თქვენ უკვე მიეცით მას საბაბი, იეჭვიანოს თქვენზე. მთავარია, რომ თქვენ რაღაცას თხზავთ. და თუ ამგვარი სიცრუე ერთხელ გამჟღავნდება, ძნელი იქნება თქვენთვის დაარწმუნოთ, რომ „სინამდვილეში არაფერიც არ ყოფილა!“.

### საკუთარი სარგებლისთვის

**მეტად ხელსაყრელია, არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ მიიღეთ პრემია, და შემდეგ გამოიყენოთ იგი არა ოჯახის საკეთილდღეოდ, არამედ საკუთარი სიამოვნებისთვის. ანდა „დაგავიწყდეს“ თქვა, რომ სამუშაოს ადრე ამთავრებ და ადვილად ასწრებ მიხვიდე ბაღში ბავშვის წამოსაყვანად.**

როგორ მოვიქცეთ? აქ პრობლემა უწინარეს ყოვლისა თქვენშია. რატომღაც გგონიათ, რომ დედამიწა მხოლოდ თქვენ გარშემო და თქვენი სურვილების გარშემო უნდა ტრიალებდეს. და თქვენ თითქოს გეშინიათ, რომ კიდევ ერთი კეთილი საქმე გააკეთოთ. იქნებ, თქვენ მართლა არ გაფასებენ ოჯახში. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ „შენი მიიღო“ დუმილით განიცადო დანაშაულის გრძნობა, უმჯობესია გულღიად გამოთქვა საკუთარი სურვილი, რომ პრემია გსურს გამოიყენო საკუთარი საჭიროებისთვის. ანდა აუხსნა ოჯახის დანარჩენ წევრებს, რომ შეიძლება გქონდეს სხვა გეგმები და ამიტომ ბაღში უბრალოდ ვერ მოასწრებ.

### უკეთესად რომ გამოიყურებოდე

**ვიღაცას სურს, გამოიყურებოდეს წარმატებულად და სხვებისთვის საჭირო ადამიანად, სხვას — ახალგაზრდად და ლამაზად. ამიტომ უფროსის ქება თქვენს საუბრებში გადაიქცევა მის მისწრაფებად — დაგაწინაურონ თანამდებობაზე, უცნობის დაინტერესებული შეხედვა ქუჩაში — თაყვანისმცემელთა შტაბელად.**

როგორ მოვიქცეთ? ასეთი ქცევა ბავშვებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ, თავი მოაწონონ თავიანთ მშობლებს. მაგრამ თქვენ ხომ გაიზარდეთ და გესმით, რომ უყვართ არა რაიმე ღირსებისთვის. აიმაღლეთ თქვენი თვითშეფასება, მოეპყროთ საკუთარ თავს პატივისცემით და სიყვარულით. და მაშინ აღარაფრის დამტკიცება აღარ დაგჭირდებათ მახლობლებისთვის.

### მოტყუება რომ დავმალოთ

**ერთ სიცრუეს ყოველთვის მოჰყვება ახალი. თქვენ მოიგონეთ გადაუდებელი საქმეები, რათა არ წახვიდეთ აგარაკზე, და ახლა მოგიწევთ მოყვეთ ახალი „ზღაპარი“ — უკვე იმ არარსებულ საქმეებზე. ეს საუბარი კი მოითხოვს ახალი, თითქოს უკვე მომხდარი ამბების წვრილმანების გამოგონებას. და ასე შეიძლება უსასრულობამდე.**

როგორ მოვიქცეთ? რასაკვირველია, არავინ ვართ სრულყოფილი, და ზოგჯერ ჩვენთვის უფრო იოლია რაღაც ვიცრუოთ, ვიდრე ვთქვათ სიმართლე. და მაინც შეეცადეთ მოიკრიბოთ ვაჟკაცობა და აღიაროთ, რომ ადრე იცრუეთ. თავად თქვენ იგრძნობთ თავს უკეთ, სიცრუით ხომ აწყენინებთ საკუთარ მახლობლებს.

ХОРОШО

### სხვათა შორის

**უცხოელმა მკვლევარებმა გამოავლინეს, რომ ისინი, ვინც სულ ცრუობენ, უფრო ხშირად ავადმყოფობენ. და ამას მეცნიერული განმარტება მოუძებნეს. სიცრუე ხომ აიძულებს ადამიანს ინერვიულოს, იწუხოს. ესე იგი ადამიანი, რომელიც ცრუობს, მუდმივი სტრესის მდგომარეობაშია. ის კი, თავის მხრივ, ასუსტებს იმუნიტეტს. აქედან არის ავადმყოფობაც. ასე რომ, გულწრფელობა სასარგებლოა არა მხოლოდ ურთიერთობებისთვის, არამედ ჯანმრთელობისთვისაც.**

## მეგობრის ხსოვნა

# ჩვენი ძვირფასი აჩიკო



91 წლისა გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა, ცნობილი ქართველი ჟურნალისტი არჩილ ივანეს ძე ჯაფარიძე, ჩვენი ძვირფასი აჩიკო. უკან დარჩა ხანგრძლივი, მრავალრიცხოვანი ცხოვრებისეული პერიპეტიებით აღსავსე და ღირსეულად განვლილი გზა.

არჩილ ჯაფარიძე, უკვე ცნობილი სპეციალისტი ფილოლოგი, 1948 წელს მოვიდა გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ რედაქციაში, სადაც მუშაობა მთარგმნელ-რედაქტორად დაიწყო. რედაქციაში სამსახურს არჩილი უთავსებდა სხვადასხვა ყრილობებზე, პლენუმებზე, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა კავშირების ფორუმებზე მოხსენებებისა და სიტყვების სინქრონულ თარგმანს... მაგრამ მაინც სულ უფრო მეტად იზიდავდა ჟურნალისტური საქმიანობა ახალგაზრდულ გაზეთში. იმ წლებში მის თვალწინ ყალიბდებოდა ახალგაზრდა ჟურნალისტების იგორ გოლემბიოვსკის, თეიმურაზ სტეპანოვის (მამალაძისძ, ტატიანა ჭანტურიას, რეზო გაბრიაძის, ვადიმ ანასტასიადის, გიორგი ჩარკვიანის, იური მოსეშვილის და სხვათა ნიჭი და უნარი. ბატონი არჩილი გაცილებით უფროსი იყო თავის კოლეგებზე, ისინი მას „უხუცესს“ უწოდებდნენ, ყურს უგდებდნენ მის რჩევებს, ენდობოდნენ მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ცხრამეტი წელი, ცხოვრების დიდი მონაკვეთი, იმუშავა ა.ჯაფარიძემ ახალგაზრდულ გაზეთში. მაგრამ ასაკი უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალგაზრდულ სტანდარტებს, და ბატონი არჩილი გადავიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, სადაც სხვადასხვა დროს იყო ინფორმაციის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებათა გამგე.

იმ წლებში მისმა მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ შეიძინა ახალი საზღვრები. გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ვაზის ყვავილობა“ სემიონ ტრეგუბის თარგმანით. წიგნის გამოცემის წინ ქართველი კლასიკოსის თხოვნით ა.ჯაფარიძე ჩავიდა მოსკოვში, სადაც მოახდინა წიგნის საბოლოო რედაქტირება ავტორის შენიშვნების გათვალისწინებით. მისი თარგმანით რუსულ ენაზე გამოიცა გიორგი ნატროშვილის მოთხრობების კრებული, ნიკა აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომელიც ეძღვნებოდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველებს. მისი რედაქტორობით გამოვიდა კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილის, გრიგოლ ჩიქოვანის ნაწარმოებთა კრებულები.

„ზარია ვოსტოკას“ შემდეგ თავისი ჟურნალისტური კარიერა ა.ჯაფარიძემ საკუთარ კორესპონდენტად გააგრძელა საკავშირო გაზეთებში — „ტრუდსა“ და „მედიცინსკაია გაზეტაში“, იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრე და მონაწილე იყო არჩილ ჯაფარიძე, კერძოდ, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისა ყაზახეთში, თვითმფრინავ ტუ-104-ის პირველი ფრენისა მარშრუტით „მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი“ და სხვ. ძველი თაობის ბევრ მკითხველს უსათუოდ ემახსოვრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ გამოქვეყნებული მასალა „მინისტრი საქრახის როლში“, რომლის ერთ-ერთი ავტორიც არჩილ ჯაფარიძე იყო. მინისტრის კრიტიკა საბჭოთა პერიოდში, თანაც ახალგაზრდული გაზეთის ფურცლებიდან?! ატყდა დიდი აურზაური. გაზეთის მთავარი რედაქტორი გულის შეტევით საავადმყოფოში დაწვა. მასალის ავტორები გამოიძახეს, რომ იტყვიან „ხალიჩაზე“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. აეროპაგის აზრი ერთსულოვანი იყო: „როგორ შეიძლებოდა — მინისტრისთვის ასეთი თავის მოჭრა?“ მაგრამ შესადავებელი არაფერი იყო — მეტად უტყუარი იყო ფაქტები, არჩილ ჯაფარიძის მიერ იურიდიული სიზუსტით შეკრებილი და მყარ კონცეფციად ჩამოყალიბებული მასალაში.

არჩილ ჯაფარიძემ, თავის მეუღლე ნელი შესტოვასთან ერთად, რომელიც გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ მუშაობდა კორექტორად და ვისთან ერთადაც იცხოვრა 50 წელზე მეტი, გაზარდეს ქალიშვილი ელენე — პოეტი, ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორი.

ნიჭიერი ჟურნალისტი, ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, პაპა, დიდი პაპა, ღია გულის კაცი, საიმედო მეგობარი, სხვებისადმი ყურადღებიანი — მარადის ასეთად დარჩება არჩილ ივანეს ძე ჯაფარიძე მათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა, მუშაობდა და ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

**მეგობრები, კოლეგები**

---

დედა მელიტა კვერნაძე, შვილები ზაალ, სალომე სიფრაშვილები, ძმა ზაზა ოქუაშვილი, რძალი ნატო ჩხეიძე, მამიდა ლუიზა ქურდაძე, ბიძა ზურაბ ქურდაძე, დეიდა დოდო კვერნაძე, ძმისწულები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

თამარ რობერტის ასულ ოქუაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 X, 16 სთ. ოდესის ქ. №7. გამოსვენება 23 X, 14 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან.

---

მამიდაშვილები გიორგი ქურდაძე და ნუკრი ქურდაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თამარ რობერტის ასულ ოქუაშვილის

გარდაცვალებას.

---

თანაკლასელები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ რობერტის ასული ოქუაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

სტუდია „ორიგინალის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ რობერტის ასული ოქუაშვილი

პანაშვიდი 21, 22 X, 16 სთ. ოდესის ქ. №7. გამოსვენება 23 X, 14 თ. სიონის საკათედრო ტაძრიდან.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები თამაზ გამყრელიძე, ფრიდონ თოდუა, გურამ თევზაძე, ოთარ ნათიშვილი, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეთნოლოგი

თინათინ ოჩიაური

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი იუწყება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ეთნოგრაფის, ქალბატონ

თინათინ ოჩიაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ცნობილ ხელოვანთ ირაკლი და გიორგი ოჩიაურებს, მათ ოჯახებს — დის, ქალბატონი თინათინის გარდაცვალების გამო.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე
მერაბ ბერძენიშვილი

---

გია ჭუბაბრია და ნუკრი აბესაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის

ბიჭუნა ლომიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## გვემრავლოს!

# ანდრია ბაზუხადიას დაბადება ჩვენც გვახარებს!



გუშინ გულგახსნილი და შუბლგახსნილი შემობრძანდა რედაქციაში ჩვენი გაზეთის უერთგულესი მეგობარი, დიდი ქართული ოჯახის, სამეგობროს და საგვარეულოს თავკაცი, ეკონომისტი და პუბლიცისტი, გაზეთ „თანადგომის“ მთავარი რედაქტორი ანზორ ბაზუხადია და პირველი შვილიშვილის დაბადება გვახარა.

ბიჭს ანდრია დაარქვეს, დაიბადა ლამაზი და სრულყოფილი „ჯანმრთელობის სახლში“... სიხარულის ცრემლებს ვერ მალავენ პირმშოს დედიკო თამუნა, მამა – მიშიკო ბაზუხადიები.

ჩვენც გულწრფელად გვიხარია, რადგანაც თითოეული ჯანსაღი ბავშვის დაბადება მცირერიცხოვანი ქართველი ერის უპირველესი ბედნიერებაა...

ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა გუშინვე მოასწრო ციცქნა ანდრია ბაზუხადიასადმი სახელდახელო ლექსპრომტის მიძღვნა:

*ბიჭო, უფლისწულს გადრიან,*
*შენ გაგიმარჯოს, ანდრია,*
*დაიკოდ ნინოს გისურვებ,*
*ოღონდ ჯერ ოდნავ ადრეა!..*

გემრავლოთ, ბაზუხადიებო, ღმერთმა ოჯახი გაგიძლიეროთ, სამშობლო გაგიმთლიანოთ და აგიღორძინოთ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

## ◉ დღის კალენდარი

**21 ოქტომბერი**

ხსენება ღირსი პელაგიასი (457ძ; ღირსი თაისიასი (IVძ; მართალი პელაგია ქალწულისა (303ძ.



ამოდის 07.20
ჩადის 17.11



ამოდის 16.02
ჩადის 14.38

### დაიბადნენ:

**1833 – ალფრედ ბერნჰარდ ნობელი,** შვედი გამომგონებელი, მრეწველი, თავისივე სახელობის პრემიების დამაარსებელი.

**1868 – ალექსანდრე შატილოვი,** ცნობილი ექიმ-ოფთალმოლოგი, პროფესორი, გარდაიცვალა 1949 წელს.

**1904 – გიორგი წერეთელი,** გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1973 წელს.

**1949 – ბენიამინ ნეთანიაჰუ,** ისრაელის პრემიერ-მინისტრი.

### გარდაიცვალნენ:

**1602 – დავით I,** კახეთის მეფე 1601-1602 წლებში.

**1805 – ჰორაციო ნელსონი,** დიდი ბრიტანეთის ფლოტის სარდალი.

**1845 – ნიკოლოზ ბარათაშვილი,** გამოჩენილი პოეტი.

**1992 – ჯიმ ჰარისონი,** ამერიკელი იურისტი, პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გამომძიებელი.

### მოვლენები:

**2137 ჩვ.წ.აღ-მდე** – ჩინეთში პირველად აღწერეს მზის სრული დაბნელება.

**1492 წელი** – ქრისტეფორ კოლუმბმა ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინა.

**1520 წელი** – ფერნან მაგელანმა აღმოაჩინა სრუტე ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებს შორის, რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა.

**1879 წელი** – ამერიკელმა გამომგონებელმა თომას ედისონმა გამოცადა თავისი პირველი ნათურა.

**1945 წელი** – საფრანგეთში ქალებს პირველად მიეცათ ხმის მიცემის უფლება.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**დიდი ბრიტანეთი** – ტრაფალგართან გამარჯვების დღე.

**ლაოსი** – სავსე მთვარის დღე.

მედიანიუსი

## იჩქარეთ, გამოიწერეთ!

# ვინა თქვა, პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობსო?

აგერ, ბატონო, როგორც იტყვიან, ყურთაგლეჯა აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“!..

ჩანს, პრეზიდენტმა ჯიხურში ვერ მიუსწრო ჩვენს გაზეთს და ფიქრია ჩიხრაძის მიერ ნაყიდ გაზეთში იჭყიტება.

ასე რომ ჯიხურში ძებნას გაზეთზე ხელმოწერა ნამდვილად სჯობს. მით უმეტეს, თვეში სულ ათ ლარს გადაიხდით და დილაადრიან შინ მოგართმევენ გაზეთის ცხელ-ცხელ ნომერს...



იმედია ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც, პრეზიდენტს მიბაძავს, აქამდე სათოფეზე რომ არ ეკარებოდა პრესას, დღეიდან, ისევ პრეზიდენტის მიბაძვით, არა მარტო დაიწყებს გაზეთების კითხვას, არამედ გამოიწერს კიდეც ჩვენს გაზეთს, თანაც არა ერთი თვით, რასაც თავის თავს არ აკადრებს, არამედ მთელი ერთი წლით, რაც სულ 120 ლარი დაჯდება.

ყველაზე სანდო და ყველაზე ძველი (92 წლის!ძ ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
99-62-77; 899 32-85-76.

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი) გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**შ ე ვ ი ძ ე ნ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.

## ◉ ანეკდოტები

– როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან ეროტიკა და პორნოგრაფია?

– ძალიან იოლად! თუ ერთი და იგივე სიუჟეტი იაფფასიან გაზეთშია დაბეჭდილი, ეს პორნოგრაფიაა! თუ ძვირიან პრიალა ჟურნალში – ეს ეროტიკაა; ხოლო თუ იგი ზეთოვანი საღებავით არის დახატული XVI საუკუნეში – ეს მსოფლიო ხელოვნების შედევრია.

* * *

ირანში ქურდს, რომელიც მაღაზიაში ტკბილეულს იპარავდა, ხელი მოკვეთეს.



საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით გამოირკვა, რომ ყველა რუსეთელი, რომელსაც არასოდეს არაფერი არ მოუპარავს, რუსეთში ამ პრაქტიკის დანერგვის მომხრეა, დანარჩენი 80 პროცენტი კი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ცივილიზებული ქვეყანაა და ასეთ ველურობამდე არ უნდა დაეცეს.

* * *

პატარა ეშმაკობანი: თუ ცხვრებს წყვილ-წყვილად დაავითვლით, ორჯერ უფრო სწრაფად შევძლებთ დაძინებას.

* * *

– პეტკა, გაიგე ახალი ამბავი? ნატაშას ქმარი შაბათის ნაცვლად ხუთშაბათს დაბრუნებულა მივლინებიდან, ცოლისთვის საყვარელთან წაუსწრია და მოუკლავს ის კაცი. საშინელებაა!

– მართლაც საშინელებაა. სამშაბათს რომ ჩამოსულიყო, მე მომკლავდა!

## ◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.